ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

2 თებერვლიდან

„ახალ თაობასთან“ ერთად

„ბიტლზი დღიდან დღემდე“




ფასი გაზეთთან ერთად 17 ლარი

ოთხშაბათი, 3 თებერვალი, 2016 №27 (6953) ფასი: 50 თეთრი

# „მაესტროს“ საკონტროლო პაკეტის მფლობელი გია გაჩეჩილაძე გახდა








გვ.3

მაესტრო

## ბაია გადაბაძე ტელეკომპანიის დირექტორობიდან გადადგა

## დაითხოვს თუ არა მარგველაშვილი აჭარის მთავრობას

გვ.3

მურმან დუმბაძე: „ივანიშვილი პრეზიდენტს მოახლოებული არჩევნების ხათრით დაუტკბა“




## „ნურავინ დამაბრალებს, რომ მარგველაშვილის მართული ვარ“



შალვა ხაჭაპურიძე: „მურუსიძეები სასამართლოში არ უნდა იყვნენ“

გვ.4



## პარლამენტი სექსსკანდალში ეხვევა

გვ.2

ლგბტ პირების უფლებადამცველი დეპუტატებს სექსთავგადასავლების გამოქვეყნებით ემუქრება

## რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა დასჯადი გახდება?

გვ.5

ბესელიას კომიტეტი ჯაჭვლიანის ინიციატივას მხარს უჭერს



## გიორგი თავდგირიძე: „ჯარს ზოგიერთი არასერიოზულად უყურებს“




გვ.5

ISSN 1987-9385

# პარლამენტი სექსსკანდალში ეხვევა

## ლგბტ პირების უფლებადამცველი დეპუტატებს სექსთავგადასავლების გამოქვეყნებით ემუქრება

შორენა მარსაგიშვილი



**ერთსქესიანთა ქორწინების თემამ საქართველოში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. მოხდება თუ არა მისი დაკანონება საქართველოში, ვერ გეტყვით, მაგრამ ერი დიდი სექსსკანდალის მომსწრე რომ შეიძლება გახდეს, ეს აშკარაა. ყველაზე საინტერესო ამ ამბავში ისაა, რომ ლგბტ პირების უფლებადამცველი გიორგი ტატიშვილი კანონმდებლებს სექსთავგადასავლების გახმაურებას ჰპირდება.**

ის ამას თავდაცვის მიზნით აპირებს და ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა, მასზე ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ზეწოლა ხორციელდება. მისი თქმით, ადგილი აქვს მუქარასაც. თავის დაცვას ის ვიდეოფირებით აპირებს.

ამასთან დაკავშირებით გიორგი ტატიშვილმა საგანგებო განცხადებაც გაავრცელა, სადაც ის მთავრობას სთხოვს, თავი დაანებოს მასზე მუქარებსა და ზეწოლას.

ის საგანგებოდ მიმართავს დეპუტატებს და ურჩევს, ვიდრე რაიმე განცხადებას გააკეთებენ, საკუთარი სექსთავგადასავლები გაიხსენონ.

– პოლიტიკოსებისა და პარლამენტის დეპუტატების გამოსვლები პოპულისტურია და ემსახურება ერთადერთ მიზანს, მოახდინონ საკუთარი რეიტინგების ამაღლება, მაგრამ მათ გასაგონად მსურს განვაცხადო, რომ რაც არ უნდა რეიტინგები მაღლა აგივარდეთ, პატივცემულო დეპუტატებო, ალბათ, გავიწყდებათ თქვენი სექსთავგადასავლები და ისტორიები, რომელთაც მთელი თქვენი კარიერისა და რეიტინგების განადგურება შეუძლია.

თქვენ, ალბათ, გავიწყდებათ ყოველივე ზემოაღნიშნული და ნუ ცდილობთ ჩემს გაკრიტიკებას და ჩემთვის ტალახის სროლას, რადგან ეს შესაძლოა ბუმერანგივით უკან დაგიბრუნდეთ, – მიმართავს კანონმდებლებს ლგბტ პირების უფლებადამცველი.

მისი განცხადებით, დღეს მოქმედი პარლამენტის დაშლა სულ რამდენიმე ვიდეოთი შეიძლება.

– საქართველოს პარლამენტის ამ შემადგენლობის დაშლა მხოლოდ რამდენიმე ვიდეომტკიცებულებით არის შესაძლებელი და, მე ვფიქრობ, მათი მოქმედებები ჩვენ შორის ომის დაწყების საფუძველი გახდება, რისთვისაც მე ამ ეტაპზე თავს ვიკავებ, – ამბობს ტატიშვილი.

მის მიერ სარჩელის შეტანას სხვადასხვა ჭორი მოჰყვა. გავრცელებული ვერსიებით, მის უკან გარკვეული ძალები დგანან, რომლებსაც გამოჩენა არ სურთ.

– სარჩელი შეტანილია ჩემ მიერ და მისი არც შედგენა, არც წარდგენა და არც სხვა რაიმე გადაწყვეტილება არ არის შეთანხმებული და დაგეგმილი რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან ან სუბიექტთან. შესაბამისად, მათი განცხადებები უბრალო დეზინფორმაცია და პოპულიზმია, – აცხადებს უფლებადამცველი.

გიორგი ტატიშვილის განცხადებით, მიმდინარე წლის მაისამდე დაგეგმილია კიდევ 3 საკონსტიტუციო სარჩელის შეტანა, რაც მწვავე დისკუსიას გამოიწვევს.

– მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ექნება სრული დამოუკიდებლობის მანდატი, რაც ასე მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებების მიღებისათვის, – აცხადებს უფლებადამცველი.

მართალია, დეპუტატებს სკანდალებით ემუქრება, მაგრამ მიიჩნევს, რომ ეს მას კარგად ვერ დაიცავს. ამიტომაც ის პრეზიდენტს მიმართავს.

– მინდა საქართველოს პრეზიდენტს მოვუწოდო, უზრუნველყოს ჩემთვის შესაბამისი დაცვის მექანიზმების გამოყენება ჩემი პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, – აღნიშნავს ტატიშვილი.

* * *

დეპუტატების მხრიდან ტატიშვილის საკონსტიტუციო სარჩელს ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებასთან დაკავშირებით უარყოფითი პოზიცია მოჰყვა.

თითქმის ყველა, ვინც ამ თემაზე კომენტარი გააკეთა, ამბობს, რომ პარლამენტი ამას არ დააკანონებს.

შეფასებებში, როგორც ყოველთვის, დიპლომატიურია პარლამენტის სპიკერი. დავით უსუფაშვილი ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, რომ ის ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას არ ელოდება.

– საკონსტიტუციო სასამართლო შექმნილია იმისთვის, რომ განსაზღვროს კანონების შესაბამისობა კონსტიტუციასთან და არა იმისთვის, რომ კონსტიტუციაში რამე ჩაწეროს ან ამოიღოს. ამის ექსკლუზიური უფლება პარლამენტს აქვს და ასე გაგრძელდება მომავალშიც. საქართველოში რომ საკანონმდებლო დონეზე დაშვებულ იქნეს ერთსქესიანთა ქორწინება, არ და ვერ ველი იმ თვალსაწიერით, რაც შეიძლება მქონდეს პოლიტიკური ცხოვრების მომავალთან დაკავშირებით, – ასეთია უსუფაშვილის პოზიცია.

* * *

ამ თემის მიმართ დეპუტატებზე უფრო რადიკალურები არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები არიან. ყოფილი პოლიტპატიმარი და უფლებადამცველი ზაზა დავითაია კი რადიკალური ზომებით იმუქრება.

ზაზა დავითაია ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის დაწყებას აანონსებს და ხელისუფლებას ეროვნული დაუმორჩილებლობის აქციების დაწყების ალბათობის შესახებ აფრთხილებს.

– თუ საკონსტიტუციო სასამართლო ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების ხელისშემწყობ დადგენილებას მიიღებს, ჩვენ, ქართველი სამოქალაქო და ეროვნულ-კონსერვატიულად განწყობილი საზოგადოება ამ საკითხის რეფერენდუმზე გატანას მოვითხოვთ!

თუ რეფერენდუმის გამართვაზეც ხელისუფლება უარს გვეტყვის, ისღა დაგვრჩება, საყოველთაო სამოქალაქო დაუმორჩილებლობაზე გადავიდეთ და საქართველოს მოსახლეობა საქართველოში აქამდე არნახული, მასობრივი მშვიდობიანი საპროტესტო აქციების ჩასატარებლად ქუჩაში გამოვიყვანოთ!

თუ ამ ფორმითაც ვერ მივაღწევთ შედეგს, საქართველოს მოსახლეობას ხელისუფლების ნებისმიერი ფორმით შეცვლისკენ მოვუწოდებთ, – იმუქრება დავითაია.

მისი განცხადებით, ყველამ უნდა გაიგოს, რომ დემოკრატია არის უმრავლესობის ნების დომინანტობა უმცირესობის ნებაზე.

– შევეწირებით, მაგრამ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას საქართველოში არ დავუშვებთ, – ამბობს ყოფილი პოლიტპატიმარი.

ამასთან, ის ამტკიცებს, რომ ჰომოფობი არაა და არც ეს განცხადებაა ჰომოფობიური.

– არანაირი ჰომოფობიის ნასახი ამ განცხადებაში არ არის! სექსუალურ აბსოლუტურ უმცირესობას, სულ რამდენიმე ასეულ ადამიანს, შეუძლია, საბნის ქვეშ რაც უნდა, ის აკეთოს, მაგრამ ჩვენ, აბსოლუტურ უმრავლესობას, სრული უფლება გვაქვს, მათი ცხოვრების წესი უზნეოდ მიგვაჩნდეს და ჩვენი შვილების თვალს ეს უზნეობა ავარიდოთ! საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინება არასოდეს დამკვიდრდება. ეს კარგად გააცნობიეროს ყველამ, – ასეთია დავითაიას პოზიცია.

## ბარაკ ობამა გიორგი კვირიკაშვილს წერილს უგზავნის

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა გიორგი კვირიკაშვილს საქართველოს პრემიერ-მინისტრად დანიშვნას ულოცავს და მასთან თანამშრომლობის მზადყოფნას გამოთქვამს, ამის შესახებ ნათქვამია აშშ-ის პრეზიდენტის წერილში, რომელსაც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური ავრცელებს.

**ბარაკ ობამა:**

– ჩვენი უმთავრესი გლობალური პრიორიტეტების გატარებაში საქართველო ჩვენი მნიშვნელოვანი პარტნიორია, რომელიც თავდაუზოგავად მონაწილეობს ავღანეთის მისიაში და წვლილი შეაქვს ევროპის ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებაში.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველომ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე. გარწმუნებთ, ამერიკის შეერთებული შტატები მომავალშიც მხარს დაუჭერს ამ ტრაექტორიას.

თქვენს ხელმძღვანელობას უდიდესი მნიშვნელობა ექნება საქართველოს დემოკრატიის კონსოლიდაციისთვის, ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფისა და საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების ხორცშესხმისათვის აუცილებელი რეფორმების განხორციელების საქმეში.

იმედის თვალით შევყურებ თქვენთან თანამშრომლობას ჩვენს ქვეყნებს შორის პარტნიორობის განსამტკიცებლად.

ამასთან, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბირთვული უსაფრთხოების სამიტზე იწვევს, რომელიც ვაშინგტონში 31 მარტიდან 1-ელ აპრილამდე გაიმართება.

– ვიმედოვნებ, შემომიერთდებით ბირთვული უსაფრთხოების წლევანდელ სამიტზე, რათა განვაგრძოთ რეგიონული სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცებისკენ მიმართული ძალისხმევა, – ნათქვამია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის წერილში.

**ინტერპრესნიუსი**

## კვირიკაშვილი: „ლაქტალისის“ შემოსვლას მივესალმებით“

### ფრანგული კომპანია „სანტეს“ აქციონერი გახდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი მსოფლიოში ცნობილი ფრანგული კომპანია „ლაქტალისისა“ და ქართული კომპანია „სანტეს“ წარმომადგენლებს შეხვდა.

საუბარი შეეხო საქართველოს საინვესტიციო გარემოსა და თანამშრომლობის პერსპექტივებს.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ „ლაქტალისი“ ქართული რძის პროდუქტების კომპანია „სანტეს“ ერთ-ერთი აქციონერი გახდა, რაც კომპანიას მისცემს საშუალებას, წარმოაჩინოს ქართული პროდუქტები მსოფლიო ბაზარზე და განავითაროს ადგილობრივი რძისა და რძის პროდუქტების წარმოება.

ხაზი გაესვა, რომ ფრანგული კომპანიის ქართულ ბაზარზე შემოსვლა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქართული რძის პროდუქტების პოპულარიზაციაში და ხელს შეუწყობს ქართული ეკონომიკის განვითარებას.

„ლაქტალის ჯგუფის“ ვიცეპრეზიდენტმა მიშელ ნალემ პრემიერ-მინისტრს კომპანიის საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა და იმედი გამოთქვა, რომ ქართული ყველი შეიძენს საერთაშორისო სტანდარტებს და პროდუქცია ქართული სავაჭრო ნიშნით გავა ექსპორტზე.

რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია „ლაქტალისი“ 1933 წელს ანდრე ბენიეს მიერ დაარსდა.

ოჯახის საკუთრებაში არსებული „ლაქტალის ჯგუფი“ მრავალი წარმატებული საერთაშორისო ბრენდის მფლობელია, როგორებიცაა: „პრეზიდენტი“, „პარმალატი“, „გალბანი“.

„ლაქტალის ჯგუფში“ ამჟამად დასაქმებულია 75.000 ადამიანი და მისი 200-ზე მეტი საწარმო მსოფლიოს 43 ქვეყანაშია განლაგებული.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას „ჯი-ემ-თი ჯგუფის“ პრეზიდენტი, „სანტეს“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი თავაძე და „სანტეს“ გენერალური დირექტორი ერეკლე გამყრელიძე დაესწრნენ.

**მიშელ ნალე:**

– ჩვენ გვაქვს პრემიერ კვირიკაშვილის სრული მხარდაჭერა. როდესაც თქვენს პრემიერ-მინისტრთან გვქონდა შეხვედრა, სიხარულით ვაცნობდით, რომ „ლაქტალისი“ გახდა „სანტეს“ აქციონერი.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია თქვენს ქვეყანაში შემოსვლა. ჩვენ გვინდოდა „სანტეს“, როგორც ქართულ საწარმოს განვითარება და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება, რათა მისი საქმიანობა გასცდეს საქართველოს ფარგლებს და დამზადდეს საექსპორტო პროდუქციაც. ამ მხრივ ჩვენ გვაქვს თქვენი პრემიერ-მინისტრის სრული მხარდაჭერა.

გამოვთქვამთ იმედს, რომ უახლოეს მომავალში შევძლებთ დაბრუნებას ამ წინსვლის უზრუნველსაყოფად.

**გიორგი კვირიკაშვილი:**

– საქართველოში კომპანია „სანტეში“ შემოდის მსოფლიოში ცნობილი ბრენდი „ლაქტალისი“. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ტრანზაქცია და ძალიან მნიშვნელოვანი ინვესტიცია საქართველოსთვის.

„ლაქტალისი“ უმსხვილესი კომპანიაა, სადაც 75.000 ადამიანი მუშაობს. კომპანია ქართულ პროდუქტს გაიტანს ევროპულ ბაზარზე და ქართული ბრენდით, ქართული სავაჭრო ნიშნით ცნობილი პროდუქტი გავა ბაზარზე.

ეს ინვესტიცია ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ასევე, საქართველოს იმიჯის განმტკიცების კუთხითაც, ვინაიდან „ლაქტალისი“ საქართველოში შემოდის რეგიონში სამუშაოდ და მან აირჩია საქართველო, რათა სხვა რეგიონულ ქვეყნებთან ითანამშრომლოს ამ მიმართულებით.

ჩვენ, რა თქმა უნდა, მივესალმებით მის შემოსვლას საქართველოში.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მაესტროს“ საკონტროლო პაკეტის მფლობელი გია გაჩეჩილაძე გახდა

## ბაია გადაბაძე ტელეკომპანიის დირექტორობიდან გადადგა

ტელეკომპანია „მაესტროს“ წილის მფლობელებთან დაკავშირებით ცვლილებებია.

არხის წილების საკონტროლო პაკეტის მფლობელი „მაესტროს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი გია გაჩეჩილაძე (უცნობი) გახდა.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებული ამონაწერის მიხედვით, გაჩეჩილაძე ამჟამად შპს „სტუდია მაესტროს“ წილების 55%-ს ფლობს.

აქტივების 15%-ის მესაკუთრე მამუკა ღლონტია, 5%-ის – ეკატერინე აკობია, დანარჩენი 25%-ის კი – მაკა ასათიანი.

ამონაწერის მიხედვით, გია გაჩეჩილაძეს არ აქვს უფლება, გაასხვისოს მის საკუთრებაში არსებული 25% წილი შპს „სტუდია მაესტროს“ კაპიტალში ყველა პარტნიორის თანხმობის გარეშე.

გუშინ, 2 თებერვალს, „მაესტროს“ დირექტორმა ბაია გადაბაძემ თანამდებობა დატოვა.

როგორც გადაბაძემ ტელეკომპანიაში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, არ აპირებს „მაესტროში“ მუშაობას პარტნიორების ახალი კონფიგურაციის პირობებში, ვინაიდან არხის დამოუკიდებლობას საფრთხე ემუქრება.

– „მაესტროს“ მეწილეები, რომლებიც ჩვენი დამოუკიდებლობის გარანტორები იყვნენ, დღეს უმცირესობაში აღმოჩნდნენ. ეს გამოიწვია პარტნიორების ერთი ნაწილის მიერ წილების გასხვისებამ, რომლის მფლობელი გახდა „იმედის“ არაოფიციალური მმართველი ირაკლი რუხაძე. რამდენიმე მილიონად გაიყიდა გაკოტრებული კომპანიის წილი, რაც, ბუნებრივია, არანაირ ლოგიკაში არ ჯდება. კომპანია, რომელსაც გააჩნია 50-მილიონიანი ვალი, არ შეიძლება იყოს მიმზიდველი, – განაცხადა ბაია გადაბაძემ.







მისი თქმით, ერთადერთი, რაც შეიძლება „მაესტროთი“ დაინტერესების მიზეზი იყოს, არის პოლიტიკური მიმზიდველობა – ეფექტიანი მენეჯმენტი და სარედაქციო დამოუკიდებლობა, რაც მას გამოარჩევდა ქართულ ბაზარზე.

– 3 წელია თითქმის, რაც „მაესტროს“ დირექტორი ვარ, თუმცა გაცილებით დიდი ხანია, რაც ამ არხზე ვმუშაობ. ყველას ყოველთვის გვაერთიანებდა საერთო ღირებულებები და ადამიანები, რომლებიც ამ ღირებულებების ერთგულები იყვნენ. დღეს კი ვითარება იმგვარია, რომ ზოგიერთებისთვის ღირებულებებს ჰქონია კონკრეტული ფასი.

წილის გამყიდველების, ებრალიძისა და ჩიკვაიძის 1% წილი არის დაახლოებით 460 ათასი ლარი. მათ არც შემოქმედებით და არც ფინანსურ ნაწილში მონაწილეობა არ მიუღიათ. ფინანსურად მხოლოდ ერთი დამფუძნებელი იღებდა მონაწილეობას. ეს იყო მაკა ასათიანი. სამი წელია „მაესტროს“ დირექტორი ვარ და სამჯერ არ მინახავს გიორგი ებრალიძე და არც თავისი უკმაყოფილების შესახებ გამოუთქვამს აზრი. ის ამბობს, რომ მის სახელს არ უნდა უკავშირდებოდეს დღევანდელი „მაესტრო“. ეს ასეც არის, – განაცხადა გადაბაძემ.

„მაესტროს“ დირექტორის განმარტებით, განვითარებული პროცესების ლოგიკური შედეგი შეიძლება იყოს არხის დამოუკიდებლობის დაკარგვა, რის გამოც ტოვებს თანამდებობას.

– არ ვაპირებ „მაესტროში“ მუშაობას პარტნიორების ახალი კონფიგურაციის პირობებში. ველოდები პარტნიორების საბოლოო გადაწყვეტილებას, მანამდე კი ვასრულებ ჩემს მოვალეობას, – აღნიშნა მან.

გუშინ საღამოს კომენტარი მამუკა ღლონტმაც გააკეთა.

– მქონდა შეთავაზება, „მაესტროში“ ჩემი წილი გამეყიდა, თუმცა ამაზე უარი ვთქვი, – განაცხადა მან.

რაც შეეხება ტელეკომპანიის დირექტორ ბაია გადაბაძის მიერ თანამდებობის დატოვების გადაწყვეტილებას და იმას, რომ არხის საკონტროლო პაკეტის მფლობელი გია გაჩეჩილაძე გახდა, ღლონტის თქმით, ამ საკითხებში პრინციპულად არ ერევა.

– „მაესტროს“ საქმიანობაში მხოლოდ იმდენად ჩავერევი, რამდენის უფლებასაც კანონმდებლობა მომცემს ჩემი წილის კომპეტენციის ფარგლებში, მაგრამ იმდენად მცირე წილი მაქვს, რომ გადაწყვეტილებებს ვერ შევცვლი, ესეც იმ შემთხვევაში, თუ დავრჩი „მაესტროს“ მფლობელებს შორის და თუ არ დავრჩი, მით უმეტეს აღარ მაინტერესებს, რა მოხდება, – აღნიშნა მამუკა ღლონტმა.

# დაითხოვს თუ არა მარგველაშვილი აჭარის მთავრობას

## მურმან დუმბაძე: „ივანიშვილი პრეზიდენტს მოახლოებული არჩევნების ხათრით დაუტკბა“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ არ დათანხმდა უმრავლესობა პარლამენტში პოლიტიკური დებატების გამართვას, რატომ დაუტკბნენ მეოცნებეები მარგველაშვილს, რატომ უნდა დაითხოვოს ქვეყნის მეთაურმა აჭარის უმაღლესი საბჭო? – ამის შესახებ „ახალ თაობას" პარლამენტის ვიცესპიკერი მურმან დუმბაძე ესაუბრება.**

**მურმან დუმბაძე:**

– პარლამენტში პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენება მნიშვნელოვანი მოვლენაა. ოპოზიცია გამუდმებით ითხოვს, რომ პრეზიდენტის გამოსვლას მოჰყვეს დებატები. სამწუხაროდ, უმრავლესობა ამ დებატების წინააღმდეგია და ისინი მხოლოდ ფრაქციების თავმჯდომარეების გამოსვლას თანხმდებიან.

***– ფრაქციის თავმჯდომარეების გამოსვლა საკმარისი არ არის? უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საკმარისია.***

– ამ შემთხვევაში პარლამენტის რიგით წევრებს ერთმევათ შეკითხვის დასმის უფლება. ამ უფლების გარეშე რჩებიან ჩემნაირი ადამიანებიც.

***– თქვენნაირ ადამიანებში ვის ან რას გულისხმობთ?***

– მე ვარ დამოუკიდებელი დეპუტატი, ვარ მაჟორიტარი და პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ამის მიუხედავად, არ მაქვს უფლება, საქართველოს პრეზიდენტს დავუსვა კითხვა.

დებატებზე უარის თქმა იმ მავნე პრაქტიკის გაგრძელებაა, რასაც საპარლამენტო უმრავლესობა ყოველთვის იყენებდა.

***– დებატებზე უარის თქმით ირღვევა კანონი?***

– კანონი არ ირღვევა, მაგრამ რეგლამენტში წერია, რომ არსებობს მეორე ვერსიაც, რომლის თანახმადაც, გამოსვლის უფლება აქვთ დამოუკიდებელ დეპუტატებსა და პარლამენტის რიგით წევრებს. ჩემი აზრით, ეს ვერსია უფრო მისაღები იყო. სხვა თუ არაფერი, ამ მოწვევის პარლამენტში პრეზიდენტი სიტყვით ბოლოჯერ გამოვა.

***– გასულ წლებში მთავრობის წევრები საკანონმდებლო ორგანოში პრეზიდენტის გამოსვლას არ ესწრებოდნენ. ახლა თქვეს, დავესწრებითო. მთავრობას გუნება რამ შეუცვალა?***

– მათ გადაწყვეტილებაზე ვითარების შეცვლამ იმოქმედა. ყოველთვის ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ, რომ საკადრო პოლიტიკა არის უმნიშვნელოვანესი. კადრების დამოკიდებულება საკითხის მიმართ ყოველთვის გადამწყვეტია.



***– რას გულისხმობთ?***

– ყოფილი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი გიორგი მარგველაშვილის მიმართ კონფრონტაციულად იყო განწყობილი. ამიტომ არ მოდიოდა პარლამენტში მის მოსასმენად. პრემიერს ბაძავდნენ მინისტრები. დღეს ამ მხრივ ვითარება რადიკალურად არის შეცვლილი.

გიორგი კვირიკაშვილი აცხადებს, რომ კონფრონტაციული რეჟიმი უნდა მოიხსნას. მან განაცხადა, რომ 3 თებერვალს მოვა პარლამენტში და მოუსმენს პრეზიდენტის მოხსენებას. საკანონმდებლო ორგანოში მოვლენ მინისტრებიც.

***– რატომ თქვა კვირიკაშვილმა პრეზიდენტთან კონფრონტაციულ რეჟიმზე უარი?***

– ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველი ისაა, რომ კვირიკაშვილი ღარიბაშვილი არ არის. ის საკითხებს უფრო სახელმწიფოებრივად უდგება.

***– ღარიბაშვილის პრემიერობის დროს კვირიკაშვილიც ხომ არ ესწრებოდა პრეზიდენტის მოხსენებას. მინისტრის რანგში რატომ არ თქვა კონფრონტაციულ რეჟიმზე უარი?***

– ეს გიორგი კვირიკაშვილს უნდა ვკითხოთ. ის ღარიბაშვილის პრემიერობის დროს რომ დასწრებოდა პრეზიდენტის გამოსვლას, ჩემგან დიდ პატივისცემას დაიმსახურებდა.

აღმასრულებელი ხელისუფლების დამოკიდებულების შეცვლას საპარლამენტო არჩევნებს ვუკავშირებ. არჩევნებამდე ნახევარი წელია დარჩენილი. საქართველოს მოსახლეობას არ მოსწონს ის დამოკიდებულება, რაც დღეს ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის არის. ამას მთავრობა კარგად გრძნობს და ასეთი მიდგომით ცდილობს ამომრჩევლის გულის მოგებას.

***– მარგველაშვილის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა და კიდევ ერთ ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილს. კვირიკაშვილმა მისი „კურთხევის“ გარეშე გადაწყვიტა პრეზიდენტის მოსმენა?***

– მისი ნებართვის გარეშე მთავრობა ასეთ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა. ივანიშვილი თავიდან, ალბათ, წინააღმდეგი იქნებოდა, მაგრამ პრემიერმა გამოიჩინა „ჯიუტობა“ და უფროსის დათანხმება მოახერხა. ამას მხოლოდ მივესალმები. დებატებიც რომ დაეშვათ, უკეთესი იქნებოდა.

***– თქვენ რამდენჯერმე გამოთქვით სინანული დებატებთან დაკავშირებით. რაიმე მნიშვნელოვნის თქმას აპირებდით?***

– ძალიან მნიშვნელოვან საკითხზე მინდოდა მესაუბრა. ის, რაც აჭარაში ხდება, აუცილებლად იმსახურებს საგანგებო მოხსენებას. აჭარის ავტონომიაში არის უმაღლესი საბჭო, სადაც „ქართულმა ოცნებამ“ დაკარგა უმრავლესობა და ახლა ისინი ოპოზიციაში არიან. ადგილობრივ მთავრობასა და უმაღლეს საბჭოს შორის სერიოზული დაძაბულობაა, ბიუჯეტს ხან იღებენ, ხან – ვერა. მთავრობა გასულია თავისი პასუხისმგებლობის ზონიდან.

***– ამ თემებზე ხომ თქვენ ისედაც ღიად საუბრობთ. რატომ გინდოდათ ამ თემებზე პრეზიდენტის მოხსენების დროს გესაუბრათ, ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს?***

– ერთადერთი ლეგიტიმური პირი, რომელსაც აჭარის უმაღლესი საბჭოს ჩარევა შეუძლია, არის საქართველოს პრეზიდენტი. მისგან განსხვავებით, საქართველოს მთავრობა აჭარის მთავრობის საქმიანობაში ვერ ჩაერევა. პრეზიდენტს ამის გაკეთება შეუძლია.

***– რაში უნდა ჩაერიოს მარგველაშვილი?***

– აჭარის უმაღლესი საბჭოს დათხოვნა მხოლოდ მას შეუძლია. მიმაჩნია, რომ გიორგი მარგველაშვილმა ეს აუცილებლად უნდა გააკეთოს.

***– რატომ უნდა დაითხოვოს პრეზიდენტმა უმაღლესი საბჭო?***

– რამდენიმე მაგალითი შემიძლია დავასახელო. მათმა გადაწყვეტილებებმა მთელი აჭარა გარეთ გამოიყვანა. ადგილობრივმა მთავრობამ გადაწყვიტა, ბათუმის ძველი ბულვარისთვის იერსახე შეეცვალა. არსებული ხეივნის გაუქმებასა და მის ადგილზე გაურკვეველი ჯიხურების ჩადგმას აპირებდნენ. ამას დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა და მთავრობამ უკან დაიხია. ადგილობრივი ხელისუფლება კულტურულ მემკვიდრეობას პატივს არ სცემს.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი არის ციხისძირი. ის აჭარაში გამორჩეული ადგილია. იქ არის 120-150 წლის ხეები. თავიდან იქ იყო პარკი. კომუნისტებმა იქაურობა სანაშენე მეურნეობად აქციეს. აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, ასწლოვანი ხეების განადგურება დაიწყო.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს ხეები ურეკში გადააქვთ. ამბობენ, რომ იქ ივანიშვილი დენდროლოგიური პარკის მოწყობას აპირებს საკუთარ მამულში. ეს კანონის უხეში დარღვევაა, რადგან ციხისძირი თავად არის დენდროლოგიური პარკი და იქაურობისთვის ხელის დაკარება არ შეიძლება.

თითოეული ამ ხის გადატანას 300-400 ტონა მიწის ამოღება სჭირდება, გადაითხარა მთელი გორა.

***– 300-400 ტონა მიწა ძალიან ბევრი ხომ არ არის?***

– არა, საუბარია 120-150 წლის ხეებზე. ისინი 40-50 მეტრის ჰორიზონტალში არიან გაშლილი და მათი ამოღება ასეთი იოლი არ არის. იქ უნდა აშენდეს პორტისმაგვარი, რათა ტყიდან გამოტანილი უზარმაზარი ხეები გამოიტანო და ზღვაში შეიტანო. ზღვის გარეშე ურეკში მათი გადატანა ვერ მოხერხდება. ამ ყველაფრის გასაკეთებლად კი რამდენიმე მილიონი ლარია საჭირო.

ამ დღეებში გავრცელებული ინფორმაციით თუ ვიმსჯელებთ, ხეები არა ურეკში, არამედ შესაძლოა თბილისში გადმოიტანონ.

***– ეს ვინ თქვა?***

– ვინ და დედაქალაქის მერმა. დავით ნარმანიამ თავად განაცხადა, რომ ივანიშვილი ჩუქნის ასწლოვან ხეებს აღმაშენებლის ხეივნის გასამწვანებლად. აქ უკვე მეორე უკიდურესობაში გადავვარდით. არჩილ ხაბაძეს დოკუმენტში უწერია, რომ ივანიშვილს პირდაპირი მიყიდვის წესით 6.000 ლარად აძლევს თითო ხეს და ისინი ურეკში უნდა დარგოს, ნარმანია კი ამბობს, თბილისს ჩუქნისო. გამოდის, რომ ამ ბიზნესპროექტის არსი ჯერაც გაურკვეველია. ამიტომაც მინდოდა ამ საკითხზე მესაუბრა პრეზიდენტის თანდასწრებით. ის ვალდებულია, სიმართლის გარკვევაში დაგვეხმაროს.

აჭარის მთავრობა აჭარის უმაღლესი საბჭოს კითხვებზე პასუხებს არ სცემს. ხაბაძე უმაღლესი საბჭოს მიმართ თავს ანგარიშვალდებულად არ თვლის. აჭარის ქონებას უდიერად განკარგავს. კანონის თანახმად, ცენტრალური მთავრობა მათ საქმეებში ვერ ჩაერევა, პრეზიდენტს კი თავისუფლად შეუძლია მთავრობის დათხოვნა და ასეც უნდა მოიქცეს.

***– ეგ თქვენ თვლით, რომ პრეზიდენტი ასე უნდა მოიქცეს, მაგრამ რა გარანტია გაქვთ, რომ ის ასე მოიქცევა?***

– პრეზიდენტმა აუცილებლად უნდა დაითხოვოს აჭარის მთავრობა. ისინი კულტურული მემკვიდრეობის მიმართ უპატივცემულობას იჩენენ.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მკერდის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალური მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგები.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

ნონა ცაბაძე

# „ნურავინ დამაბრალებს, რომ მარგველაშვილის მართული ვარ“

## შალვა ხაჭაპურიძე: „მურუსიძეები სასამართლოში არ უნდა იყვნენ“

**სასამართლო სისტემაში მიმდინარე ცვლილებებთან დაკავშირებით „ახალი თაობა“ უფლებადამცველ შალვა ხაჭაპურიძეს ესაუბრა.**

***— ბატონო შალვა, მოხშირდა აქციები სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით. ეს პროტესტი მხოლოდ მურუსიძეს უკავშირდება თუ სხვა მიზეზებიც არსებობს? ითქვა ისიც, რომ ეს აქციები მართულია და მის უკან გიორგი მარგველაშვილი დგას.***

— მე არ ვიცი, ეს აქცია ვისგან იმართება. ან რატომ უნდა იმართებოდეს ვინმეს დაკვეთით? მურუსიძეს რომ მოსამართლედ დანიშნავ და ამაზე მე რომ პროტესტი მაქვს, მარგველაშვილის მართულიაო, უნდა მითხრან?! ეს რომ ვინმემ მითხრას, ხომ ცოცხალი ვერ გამასწრებს. სწორედ მე ვარ პირველი, ვინც ვაპროტესტებ იმას, რომ მურუსიძე და სხვა მურუსიძეები არ უნდა იყვნენ სასამართლოებში.

***— სხვა მოსამართლეებზე რას იტყვით?***

— მთელ სასამართლო სისტემაში იქნება დაახლოებით 60 მოსამართლე, რომლებიც მართლაც ღირსეული ადამიანები არიან და რომლებიც უნდა დარჩნენ სისტემაში. ეს ის ადამიანები არიან, რომელთა გადაწყვეტილებებიც იმ ავბედით პერიოდში სანთლის შუქივით ანათებდა და იმედს გვიტოვებდა, რომ ოდესღაც სასამართლოში დაბრუნდებოდა სამართალი. ამ ხალხის გაშვება რომ არ შეიძლება, ამაში ორი აზრი არ არსებობს.

***— დანარჩენები უნდა წავიდნენ?***

— ის ზონდერმოსამართლეები, რომლებიც არ არიან ღირსნი, ეკავოთ ესოდენ საპასუხისმგებლო და პატივსაცემი თანამდებობები, უნდა წავიდნენ.

***— თუ დატოვეს, რა იქნება?***

— ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვერ მივიღებთ დემოკრატიულ, თავისუფალ, მიუკერძოებელ და პროფესიონალურ სასამართლოს. მე ერთს გეტყვით, მურუსიძე სასინჯი ქვა იყო.

***— რას გულისხმობთ?***

— მურუსიძის დანიშვნით იქ ითქვა, რომ მათ, ვინც ამ წლების განმავლობაში ამ უკანონობებს ჩადიოდნენ, უთხრეს, ნუ იხმაურებთ და თქვენც დაინიშნებითო.

***— რატომ წავიდა ამაზე ხელისუფლება? ეს ხომ საკმაოდ არაპოპულარული ნაბიჯია.***

— მე მეეჭვება, რომ ამაზე ხელისუფლება მიდიოდეს. ხელისუფლება ცოტა სხვა რამეზე მიდის.

***— რაზე?***

— იმაზე, რომ არ ჩატარდეს სასამართლო რეფორმა იმ ფორმით და იმ გზით, როგორც ეს ჩატარდა ნაციონალური მოძრაობის დროს. მაშინ დაუძახეს მათთვის არასასურველ მოსამართლეებს, რომელთა 99% იყო ღირსეული და უთხრეს, წახვალთო. ზოგი წავიდა, ვინც არ წავიდა, ძალით გააგდეს და ვინც ბრძოლა დაუწყო, ის დაიჭირეს.



***— ამბობთ, რომ ხელისუფლება არაფერ შუაშია. სწორედ „ოცნებამ“ არ დაუჭირა მხარი მურუსიძის დანიშვნას? სწორედ ივანიშვილმა არ გამოხატა დადებითი პოზიცია ამ ფაქტთან დაკავშირებით?***

— ივანიშვილმა თქვა, მურუსიძე იმ რეჟიმის მსხვერპლი იყოო. ივანიშვილს ცოტა სხვაგვარი მიდგომა აქვს.

***— მაინც როგორი?***

— ძალიან ძნელია ამ ცხელ გულზე ეს ყველაფერი გაიგო, მაგრამ მათ არ მოინდომეს სიტუაციის გამწვავება და რატომღაც ასე არჩიეს.

***— მაშინ ყველა მოსამართლე გამოვა და იტყვის, რომ იმ რეჟიმის მსხვერპლი იყო.***

— ამბობენ კიდეც. ბევრ მათგანთან ვისაუბრე უკვე და ყველა ერთსა და იმავეს იმეორებს, ჩვენ სხვა გზა არ გვქონდა, ჩვენ გვაიძულებდნენ, ჩვენც იმ რეჟიმის მსხვერპლი ვართ, ძლივს თავისუფლება ვიგრძენითო.

***— თუ ასე იყო, წასულიყვნენ, რატომ დარჩნენ სისტემაში?***

— საქმეც ეგაა, უნდოდათ და დაემონნენ სააკაშვილს, გახდნენ მისი ყურმოჭრილი მონები. მათი ერთი სიტყვისაც არ მჯერა. არც იმის მჯერა, რომ შეიცვლებიან და დამოუკიდებლები გახდებიან. მთელი 10 წელი რომ სხვის დაკვეთებს ასრულებდი, ეს უკვე სისხლში გაქვს გამჯდარი და სხვა ხელისუფლებასაც ისევე დაემონები.

***— მაშინ, გამოდის, რომ ამ ხელისუფლებასაც აწყობს ასეთი სასამართლო სისტემა?***

— ასეც ნუ ვიტყვით. აქ სხვა მომენტია.

***— რა მომენტი? დასავლეთის შიში?***

— არა მგონია. ხელისუფლება ცდილობს, ქვეყანაში სტაბილურობა შეინარჩუნოს და ამის გამო ბევრ დათმობაზე მიდის. როგორც იქნა, მივუახლოვდით არჩევნებს. ძალიან მძიმე ოთხი წელიწადი გადავიტანეთ. ყოველ წუთს იყო იმაზე საუბარი, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნებოდა, რაზეც ივანიშვილი კატეგორიულ უარს ამბობდა და ამ მეთოდმა გაამართლა. რაღაც სტაბილურობის განცდა გაგვიჩნდა. სასამართლოშიც იგივე სიტუაციაა.

***— მაინც როგორი?***

— ძალიან რთულია ერთი ხელის მოსმით ამდენი მოსამართლის გაშვება, თუმცა სააკაშვილმა ეს თავის დროზე გააკეთა. რა კადრები დაგვიტოვა, ამასაც კარგად ვხედავთ.

***— ის პროტესტი, რომელიც საზოგადოების ნაწილმა წამოიწყო სასამართლო სისტემის წინააღმდეგ, სწორია?***

— რასაკვირველია, სწორია და ეს უნდა გაძლიერდეს. სასამართლოს წინააღმდეგ არ წამოუწყიათ, მოდით, სწორი ფორმულირება მივცეთ. ეს წამოიწყეს კოლექტიური მურუსიძეების წინააღმდეგ.

***— რატომ დაბრალდა პრეზიდენტ მარგველაშვილს ამის ორგანიზატორობა?***

— ვიღაცას ხომ უნდა დაბრალებოდა?! აბა, სხვას რას იტყოდა მურუსიძე? იმას ხომ არ იტყოდა, მე ვარ ცუდი და ამიტომ მართავენ ამ აქციასო. თან ნახეთ, რა კარგი გათვლა იყო, თუ მარგველაშვილს დააბრალებდნენ, ეს ბიძინას ესიამოვნებოდა. ბიძინას მოსწონს, მარგველაშვილს რომ ლანძღავენ.

***— ანუ ივანიშვილს ასიამოვნეს?***

— სწორედ რომ ეს გათვლა იყო. ხომ ხედავთ, ირაკლი ღარიბაშვილს არავინ ლანძღავს, ყველა თავს იკავებს. რატომ, თუ იცით?!

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ ივანიშვილი ორაზროვან განცხადებებს აკეთებს, არც კარგს ამბობს ღარიბაშვილზე და არც ცუდს. ამათ ვერ გაიგეს ივანიშვილის პოზიცია, ეს ჯერ გაურკვეველია და ურჩევნიათ, ჯერჯერობით ჩუმად იყვნენ. იცით, ფეისბუქზე რა საინტერესო დეტალი აღმოვაჩინე?

***— რა დეტალი?***

— აქამდე ღარიბაშვილის სურათი რომ დაიდებოდა ცოლ-შვილთან ერთად, ატყდებოდა ერთი ამბავი, მოწონება, კომენტარები, ლოცვები, ხოტბა, დიდება. ახლა ღარიბაშვილის სურათი დევს ცოლ-შვილთან ერთად ფეისბუქზე და ერთი მოწონებაც კი არ აქვს.

მურუსიძეებს ხომ კვაჭი კვაჭანტირაძის ფიქრები აქვთ. ამას დავაბრალებ მარგველაშვილს და ამით ივანიშვილს ვასიამოვნებო, ფიქრობენ. აბა ერთი სალანძღავი სიტყვა წამოსცდეს ივანიშვილს ღარიბაშვილზე, ნახავთ, როგორ ყვავ-ყორნებივით დაესევიან. სეთურიზმი მეფობს ჩვენზე, ვერ მივდივართ წინ. ასი ბიძინა რომ მოიყვანო, ამათ მაინც ვერ უშველის!

***— ანუ საშველი არ არის?***

— ჩვენში, საზოგადოებაშია პრობლემა. ვერ გავიზარდეთ, აზროვნება ვერ შევიცვალეთ. სამოქალაქო საზოგადოება ვერ შედგა საქართველოში!

***— იმსახურებს ჩვენი საზოგადოება კოლექტიურ მურუსიძეებს?***

— დღევანდელი საზოგადოება, სამწუხაროდ, იმსახურებს მურუსიძეებს. რომ არ იმსახურებდეს, არც ეყოლებოდათ. ჩვენი ვალია, ამაზე ავიმაღლოთ ხმა და ნურავინ მაკადრებს, მარგველაშვილის მართვადი ხარო! სერიოზული რეფორმებია ჩასატარებელი არა მარტო სასამართლო სისტემაში, არამედ ყველგან. ჩვენ ამ რეფორმებს უნდა ველოდოთ. ისინი აუცილებლად ჩატარდება!

---

## პაატა ბურჭულაძე: „კიდევ ოთხი წელი ასე რომ გაგრძელდეს, ფეხზე ვეღარასოდეს დავდგებით“



— ოთხი წელი ასე რომ გაგრძელდეს, როგორც ბოლო ოთხი წელი იყო, ფეხზე ვეღარასოდეს დავდგებით. ამის შესახებ „საქართველოს განვითარების ფონდის“ დამფუძნებელმა, მსოფლიო ბანმა პაატა ბურჭულაძემ ტელეკომპანია „TV pirvelis“ ეთერში განაცხადა. ბურჭულაძე ამბობს, რომ ის ჯერ პოლიტიკაში არ მოსულა.

— პოლიტიკაში ჯერ არ შევსულვარ. არ ვიცი, ეს თუ საჭირო იქნება — ამას დრო გვანახებს. ჩამოყალიბდა „საქართველოს განვითარების ფონდი“, რომლის ჩამოყალიბებაც, ჩემი აზრით, აუცილებელი იყო.

ყველა ადამიანის ცხოვრებაში დგება დრო, როცა მან რაღაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი უნდა გადადგას. მთელი ცხოვრება ხალხისგან სიყვარულისა და ტაშის მეტი არაფერი მომისმენია.

ალბათ, დადგა დრო, რომ გადავუხადო მადლობა ჩემს ხალხს და გადავდგა ისეთი ნაბიჯი, რომელიც ძნელი გადასადგმელია და რომელიც ტაშსა და სიყვარულს გვერდით მადებინებს, რადგან რაღაც სხვა ვალდებულება მაქვს.

არ შემიძლია, სხვანაირად მოვიქცე. დღეს, როცა ამდენ გაჭირვებულ ადამიანს ვუყურებ, როცა ვუყურებ ასეთ უიმედობას საქართველოში...

მგონია, რომ კიდევ ოთხი წელი ასე რომ გაგრძელდეს, როგორც ბოლო ოთხი წელი იყო, აღარ მაქვს იმ ცხრა წელზე ლაპარაკი, ვეღარასოდეს დავდგებით ფეხზე. ამაში დარწმუნებული ვარ, რადგან ძალიან დიდი შეხება მაქვს ხალხთან, ძალიან ბევრჯერ მომივლია საქართველო, — განაცხადა ბურჭულაძემ, რომლის შეფასებით, ყველა ახალ მთავრობას ხალხი იმედით ხვდება, დრო კი ისე გადის, რომ მათ საკეთილდღეოდ არაფერი იცვლება.

მისივე თქმით, ფონდს გვერდით უდგას პროფესიონალი, საქმის მცოდნე ხალხი ეკონომიკის, სამართლის დარგში და სხვა სფეროებში. პაატა ბურჭულაძის განცხადებით, „საქართველოს განვითარების ფონდი“ სამ თვეში წარადგენს ქვეყნის განვითარების საკუთარ ხედვას, რომლის განხორციელებასაც მთავრობისგან მოითხოვს.

**პაატა ბურჭულაძე:**

— ჩვენ ეს მთავრობას უნდა შევთავაზოთ — შევთავაზოთ კი არა, მოვითხოვოთ მთავრობისგან, რომ ეს უნდა გააკეთდეს. თუ შევატყვეთ, რომ ეს არ კეთდება და, როგორც დღეს ვატყობ, დიდი შანსია, რომ არ გაკეთდება, იმიტომ, რომ იმიტომ... ამის მერე, ალბათ, სულ სხვა ნაბიჯებს გადავდგამთ და სხვა ინტერვიუს მოგცემთ, — აღნიშნა ბურჭულაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

---

## საქართველოს მასშტაბით 50 სკოლაში 20%-იანი გაცდენა დაფიქსირდა, თუმცა სწავლა შეჩერებული არ არის

საქართველოს მასშტაბით 50 სკოლაში 20%-იანი გაცდენა დაფიქსირდა, თუმცა სწავლა შეჩერებული არ არის. ამის შესახებ ჟურნალისტებს გუშინ განათლების სამინისტროში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნატა ასათიანმა განუცხადა.

ნატა ასათიანმა ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა იმ სკოლებთან დაკავშირებით, სადაც გრიპის ვირუსის გამო ავადობის მაღალი პროცენტული მაჩვენებელია. როგორც ნატა ასათიანმა აღნიშნა, ამ სკოლების უმეტესობა რეგიონებშია და მცირეკონტინგენტიანია, 7 სკოლა კი თბილისში მდებარეობს.



— ამ სკოლების უმეტესობა რეგიონშია და მცირეკონტინგენტიანი სკოლებია. ისინი რისკფაქტორს არ წარმოადგენენ. საინტერესოა თბილისის 7 სკოლა, სადაც ასევე დაფიქსირდა გაცდენები და ჩვენი მონიტორინგის სამსახური აწარმოებს დაკვირვებას, გაცდენების მიზეზი არის თუ არა ავადობა, — განაცხადა ნატა ასათიანმა.

მისივე თქმით, თბილისის 7 სკოლასთან დაკავშირებით თუ გაცდენების მიზეზი მოსწავლეების ავადობა იქნება, შესაბამის ზომებს მიიღებენ.

**ინტერპრესნიუსი**

---

## გია ვოლსკი: „პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი რომ იყოს, პოლიტიკურ დებატებს მხარს დავუჭერდი“

— მე სავსებით დავუჭერდი მხარს ჩემი კოლეგის, გიორგი გაბაშვილის მოსაზრებას იმ შემთხვევაში, პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი რომ იყოს. ყველა საკითხს, რომელიც მართლაც საქართველოს წინაშე დგას, შესაბამისი ფორმატით გავაანალიზებდით.

პრეზიდენტის გამოსვლაშიც იქნებოდა გარკვეული ვალდებულებები, დარგების მიხედვით ესაუბრა. შესაბამისად, კომიტეტების ხელმძღვანელების, ასევე დარგის, სფეროების მიმართულებით ცალკეული დეპუტატების გამოსვლა ნამდვილად საინტერესო იქნებოდა, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

მისივე თქმით, „რეალურად საქმე ძალიან სერიოზულ, საინტერესო გამოსვლას ეხება“.

**გია ვოლსკი:**

— ასეც ველოდებით, ყოველ შემთხვევაში, იმ სიმაღლიდან, რასაც პრეზიდენტის გამოსვლა ჰქვია, თუმცა არა აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელის და თავმჯდომარის. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, აკადემიურობა გვმართებს. ფრაქციების ხელმძღვანელების გამოსვლები სრულად შეიძლება მოიცავდეს კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფების შეხედულებებსა და აზრს.

პრეზიდენტის პარლამენტში მოხსენებით გამოსვლის შემდეგ ტრიბუნა მხოლოდ ფრაქციების თავმჯდომარეებს დაეთმობათ, ე.წ. პოლიტიკური დებატები კი არ გაიმართება.



შესაბამისი გადაწყვეტილება პარლამენტის ბიურომ უკვე მიიღო, რასაც წინ მმართველი გუნდისა და ოპოზიციონერი დეპუტატების წარმომადგენლებს შორის დებატები უძღოდა.

**ინტერპრესნიუსი**

---

## ლევან მურუსიძე: „მოსამართლეთა საგამოცდო ტესტების წინასწარ გამჟღავნებაზე იუსტიციის საბჭო მოკვლევას აწარმოებს“

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივან ლევან მურუსიძის განცხადებით, მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების ტესტების წინასწარ გამჟღავნებისა და ასევე სხვა თემებზე იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოკვლევას აწარმოებს, თუმცა მას ამ ინფორმაციის ვადაზე ადრე გამჟღავნება არასწორად მიაჩნია. ასე გამოეხმაურა ლევან მურუსიძე თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მამუკა ახვლედიანის განცხადებას, რომელიც მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდაზე ტესტების წინასწარ გამჟღავნებაზე საუბრობს.

როგორც ლევან მურუსიძემ აღნიშნა, ამ თემაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭო კარგა ხანია მუშაობს და მოკვლევას პირადად აწარმოებს.

მურუსიძის თქმით, საბჭო მოკვლევას აწარმოებს არა მარტო ტესტების წინასწარი გამჟღავნების თემაზე, ასევე სხვა თემებზეც, რომლებიც გარკვეულ კორუფციულ საკითხებს უკავშირდება.

**ლევან მურუსიძე:**

— მინდოდა, როცა დასრულდებოდა მოკვლევა შემდეგ მოფენოდა ყველაფერს ნათელი, ეტყობა ამით ვიღაც ცდილობს, რომ თავდაცვის რეჟიმში ჩადგეს.

გარკვეული საკითხები, რომელზეც საბჭო მუშაობს და რომელიც შეიძლება გარკვეულ პირებს შეეხოთ, ამიტომ ვიღაც თავდაცვით ჯავშანს იკეთებს, რომ რეალურად ვითომ ვიღაც არის გარკვეულ საკითხებზე მებრძოლი. მისივე თქმით, მოკვლევა მიმდინარეობს არა მარტო მამუკა ახვლედიანის მიერ დასახელებულ თემაზე, არამედ იმაზე, თუ რა პროცესები მიმდინარეობს სასამართლო კორპუსში და რა არის რეალობა, თუმცა მურუსიძემ დეტალებზე საუბარი დღეს არ ისურვა და აღნიშნა, რომ ყველაფერს მოკვლევის დასრულების შემდეგ მოეფინება ნათელი.

— ვფიქრობ, რომ ეს განცხადებები საბოლოო ჯამში არის ის, რომ ადამიანები ცდილობენ, ჯავშნით აღიჭურვონ, — განაცხადა მურუსიძემ.

მან ტესტებთან დაკავშირებით ინფორმაციის გამჟღავნებას არასწორი უწოდა. მან მოუწოდა ყველა მხარეს, რომ თუ ვინმეს რაიმე აქვს სათქმელი, ამას აქვს თავისი ფორმა და წესი.

**ინტერპრესნიუსი**

# აფხაზეთში თევზის დეფიციტია

მარიამ მჭედლიშვილი

**„ახალი თაობა" უკვე წერდა, რომ ანექსირებული აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლებამ დაამტკიცა შემზღუდავი ზომები თურქეთის წინააღმდეგ.**

ეს ზომები ეხება როგორც თურქეთთან ვაჭრობის მინიმუმამდე დაყვანას, ისე აფხაზეთში თურქული არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობის შეჩერებასა და თურქი ბიზნესმენების მონაწილეობის აკრძალვას აფხაზეთის საინვესტიციო პროგრამებში.

მიუხედავად ყველაფრისა, აფხაზეთის მთავრობა აცხადებს, რომ ანტითურქული სანქციები არათუ ზიანს არ მიაყენებს აფხაზეთის ეკონომიკას, არამედ ესაა შანსი აფხაზეთისთვის.

– სანქციები თურქეთის მიმართ არათუ არ დაარტყამს აფხაზეთის ეკონომიკას, არამედ დაეხმარება მის სოფლის მეურნეობას, – აღნიშნავს აფხაზეთის ვიცეპრემიერი შამილ აძიმბა.

თურქეთიდან აფხაზეთში შემოდიოდა კარტოფილი, ხახვი, ნიორი, კომბოსტო, კიტრი, პამიდორი, ხილი. სოხუმში ფიქრობენ, რომ აფხაზეთში ამ აკრძალვებით პრობლემები არ შეიქმნება.

– აკრძალული ხილ-ბოსტნეულის ნუსხიდან პრაქტიკულად ყველას მოყვანა შეიძლება აფხაზეთში. ამიტომ სანქციები თურქეთის მიმართ შეიძლება გახდეს დასაბამი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. ატმის მოყვანაც შეგვიძლია, ყურძნისაც. ნესვიც მოდის ჩვენთან, მით უმეტეს, შეგვიძლია ციტრუსების, პამიდვრისა და კიტრის წარმოება. კარტოფილი ჩვენში არ მოდის, მაგრამ კარტოფილს მხოლოდ თურქეთიდან არ ვიღებდით, – აცხადებს ვიცეპრემიერი.

სურსათის გარდა, თურქული იმპორტის დიდ ნაწილს შეადგენდა სამშენებლო და საწვავ-საპოხი მასალები, ტრაქტორები და თვითმცლელები, თევზის გადასამუშავებელი დანადგარები. აფხაზეთიდან თურქეთში ძირითადად ქვანახშირი და ხე-ტყე გადიოდა.

თევზი თურქეთიდან შემოჰქონდათ. თურქული გემები თევზს აფხაზეთის სანაპიროებზეც იჭერდნენ.

თუ კარტოფილი და სხვა ბოსტნეული, ასევე ზეთი რუსეთის ქალაქებიდან შემოაქვთ, თევზი აფხაზეთში დეფიციტური გახდა. ადგილობრივი იმპორტიორები აცხადებენ, რომ თევზი მოსკოვიდან და როსტოვიდანაა შემოსატანი. ეს ქალაქები თვითონ შორეული აღმოსავლეთიდან მარაგდებიან. აფხაზეთში მოხვედრამდე ამ თევზს ოქროს ფასი დაედება. ეს იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთში თევზის დეფიციტი აშკარაა.

ფასებს აფხაზი იმპორტიორები თურქული საქონლის შემთხვევაშიც უჩიოდნენ. დოლარის გამყარებამ თურქული პროდუქციაც გააძვირა.

ცნობილია, რომ ირიბად და არალეგალურად პროდუქცია ანექსირებულ აფხაზეთში საქართველოს სხვა კუთხეებიდანაც შედიოდა. ირკვევა, რომ ამ გზით იქ თევზიც ხვდება.

ამ სიტუაციაში მოსალოდნელია, რომ სანამ აფხაზეთში ხილ-ბოსტნეულის წარმოების საკითხს მოაგვარებენ, იქ ქართული ხილ-ბოსტნეულის მოცულობამ მოიმატოს.

აფხაზეთის მინისტრთა კაბინეტი იმედოვნებს, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებას წაადგება სასოფლო-სამეურნეო აღწერა. ამისთვის 22 მილიონი რუბლია საჭირო. აღწერა ჯერ



კიდევ თურქულ სანქციებამდე დაიგეგმა, თუმცა მისი ჩატარება დაგეგმილ დროს ვერ მოხერხდა და 2018 წლისთვის გადაიდო. გადადების მიზეზი მოსამზადებელი სამუშაოების სირთულეა.

აფხაზეთის მთავრობამ ამ დღეებში სხვა დარგებზეც იზრუნა. 6 ორგანიზაციას გამოეყო მიწის ნაკვეთები საკურორტო ობიექტების ასაშენებლად. 3 ფირმას წიაღისეულით სარგებლობის ნებართვა მიენიჭა. ერთი ნებართვა, მაგალითად, ეხება გულრიფშის რაიონში მიწისქვეშა სასმელი წყლის მოპოვებას, მეორე კი – ოჩამჩირის რაიონში ინერტული მასალების მოძიებას.

შორენა მარსაგიშვილი

# რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა დასჯადი გახდება?

## ბესელიას კომიტეტი ჯაჭვლიანის ინიციატივას მხარს უჭერს

რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა საქართველოში შესაძლოა დასჯადი გახდეს. დამნაშავეებს ფულადი ჯარიმა დაეკისრებათ. ეს ყველაფერი იმ შემთხვევაში შევა ძალაში, თუ ამ გადაწყვეტილებას პარლამენტი მიიღებს.

პარლამენტში ამ საკითხის განხილვა უკვე დაიწყო. კანონპროექტის ავტორი დემოგრაფიული განვითარების ფონდის დირექტორი ზვიად ტომარაძეა, ინიციატორი კი – უმრავლესობის დეპუტატი სოსო ჯაჭვლიანი.

კანონპროექტი გუშინ, 2 თებერვალს, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზე განიხილეს.

ჯაჭვლიანის განმარტებით, კანონპროექტის მიღების მიზანია სახელმწიფოს მხრიდან ქვეყანაში არსებული რელიგიებისა და მათი მიმდევრების შეურაცხყოფისგან დაცვა.

– კანონპროექტის მიხედვით, რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა ხდება დასჯადი ქმედება და სამართალდამრღვევს ეკისრება ფულადი ჯარიმა, – აღნიშნავს დეპუტატი.

მისივე თქმით, დასჯადი ხდება როგორც მორწმუნეთა გრძნობების, ასევე რელიგიური შენობების შეურაცხყოფა:

– რელიგიური სიწმინდეების, რელიგიური ორგანიზაციების, ღვთისმსახურისა და მორწმუნეების მიმართ სიძულვილის საჯაროდ გამოხატვა ან ისეთი მასალის გამოქვეყნება ან ჩვენება, რომელიც მიზნად ისახავს მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფას, გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარით.



რელიგიური შენობებისა და სხვა რელიგიური სიწმინდეების წაბილწვა, მათზე ნებისმიერი წარწერის გაკეთება ან დაზიანება გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, – განაცხადა სოსო ჯაჭვლიანმა.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა ჯაჭვლიანის ინიციატივას მხარი დაუჭირა.

– კომიტეტზე განხილვისას კანონპროექტი შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდა: პირის რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით, ხოლო გამეორების შემთხვევაში ჯარიმა 600 ლარია. რელიგიური სიწმინდეებისა და საკულტო ნაგებობების წაბილწვა 500 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს, ხოლო გამეორების შემთხვევაში 1000 ლარით, – აღნიშნა ჯაჭვლიანმა.

მას იმედი აქვს, რომ მის ინიციატივას პარლამენტიც დაუჭერს მხარს.

# გიორგი თავდგირიძე: „ჯარს ზოგიერთი არასერიოზულად უყურებს“

გულიკო ბალაძე

თავდაცვის მინისტრის მრჩეველი გიორგი თავდგირიძე აცხადებს, რომ შეიარაღებულ ძალებში პროცესები ნორმალურად მიდის. კონტროლის მექანიზმი მუშაობს. რაღაც ცვლილებები ჩქარა ვითარდება, რაღაც – ნელა, მაგრამ არაფერი არაორდინარული არ ხდება. ვიღაც თუ ამბობს, რომ რაღაც პრობლემაა, იმ პრობლემას სახელი უნდა დაარქვას.



***– ბატონო გიორგი, ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა გააკრიტიკა მოქმედი მინისტრი და განაცხადა, ქართულ ჯარს არაკომპეტენტური ხალხი მართავსო. მართლა არაკომპეტენტური ხალხი მართავს სამინისტროს?***

– ვინც თქვა, ჯარი არაკომპეტენტურად იმართებაო, არგუმენტებიც უნდა მოეყოლებინა, რას გულისხმობს ჯარის არაკომპეტენტურ მართვაში, სად ხედავს პრობლემას, როგორ იმართებოდა ჯარი 2000-2004 წლებში, როდესაც თვითონ იყო უწყების ხელმძღვანელი, რა გაუარესდა, ჯარის მართვის გაუარესება რა შედეგებით გამოიხატება. ზოგადი ნათქვამია, ჯარს არაკომპეტენტური პირები მართავენო. ამას ვინც ამბობს, უნდა დაასაბუთოს, რა არის კომპეტენციის მოთხოვნები. რით გამოიხატება, გეგმებით, კონკრეტული გადაწყვეტილებებით? ზოგადად, რას უწუნებს?

***– მინისტრს არავინ ეპასუხება მაშინაც კი, როცა საჭიროაო.***

– კომიკური მტკიცებულებაა. სად არ ეპასუხებიან? მართვის კომპეტენტურობის საზომშია, მინისტრს ეპასუხებიან თუ არა? საიდან დაადგინა, სად ნახა, რომ არ ეპასუხებიან.

***– ზოგადად როგორი სიტუაციაა თავდაცვის უწყებაში?***

– თავდაცვის უწყებაში ნორმალური სიტუაციაა. მიდის ჯანსაღი დისკუსია, პროცედურულად გამართული დისკუსიები, ამა თუ იმ თემაზე ხდება მოსაზრებების მოსმენა და გადაწყვეტილებების მიღება სხვადასხვა საკითხზე, სხვადასხვა ფორმატში, თათბირებზე, საბჭოებზე და სხვადასხვა შეხვედრაზე. ვის რა კომპეტენცია აქვს, ის იღებს პასუხისმგებლობას და კომპეტენციის ფარგლებში იღებენ გადაწყვეტილებას, არის რეალისტური გეგმები და შედეგები, რომელიც გადაწყვეტილების მიღების შედეგად დგება ამა თუ იმ ქმედებისა და ღონისძიების გატარების შემდეგ.

***– სამხედრო მანქანა სათამაშო ჰგონიათო.***

– ეს საკითხისადმი ძალიან არასერიოზული მიდგომაა. რით გამოიხატება ის, რომ ვიღაცას თავდაცვის უწყება სათამაშო ჰგონია? როგორ უნდა მოქცეულიყო კონკრეტული პირი, რომ სამხედრო მანქანა სათამაშო არ ეგონოს? თუ პოლიტიკური განცხადებაა, გასაგებია, პოლიტიკური ოპონენტზე კარგს არავინ ამბობს. თუ ეს არის სამხედრო პირის შეფასება და ექსპერტული დასკვნა, ექსპერტული დასკვნა მოითხოვს ვითარების ანალიზს, კონკრეტულ მაგალითებს, შემდეგ ვარაუდს, თუ რა ტენდენცია დაინახა, ეს ტენდენცია, სავარაუდოდ, რა შედეგებამდე მიგვიყვანს. ეს იქნებოდა პატიოსანი ქცევა, კოლეგიალობა და არგუმენტირებული მსჯელობა.

***– როგორც მინისტრის მრჩეველი, ალბათ, მინისტრს არ გააკრიტიკებთ.***

– თუ გასაკრიტიკებელია, შეიძლება გავაკრიტიკოთ.

***– შეიძლება ინფორმაციის დამალვისთვის სამხედრო პირი სამსახურიდან გაათავისუფლო?***

– საუბარი იყო ინფორმაციაზე, სადაც მეთაურს უნდა შეეფასებინა და პასუხისმგებლობა აეღო პროცესებზე. საუბარი არ არის იმაზე, რომ დანაშაულებრივად და მიზანმიმართულად მოხდა ინფორმაციის დამალვა. ერთია დანაშაული და მეთაური, რომელიც მალავს დანაშაულს, მეორეა – მეთაურს აქვს ვალდებულება, ჰქონდეს კომპეტენცია, ფლობდეს სიტუაციას და, თუ არის რაიმე ეჭვები ან კითხვები, ამ კითხვებზე ისაუბროს ზემდგომთან, რომ არ მოხდეს დანაშაულის ჩადენა. ამაზე ჯერ მიდის მოკვლევა, დასრულებული არ არის. საუბარი იყო იმაზე, რომ მინისტრს არ მოახსენეს შესაძლო...

***– დანაშაულის შესახებ.***

– არა, დანაშაულზე არ არის საუბარი. მინისტრს არ მოახსენეს, რომ რაღაც პრობლემები შეიძლებოდა ყოფილიყო. ამაზე უფრო დეტალურად მინისტრთან შეიძლება საუბარი. მოკვლევის ერთ-ერთი თემაა, რამდენად სწორად არის ორგანიზებული ინფორმაციის მიწოდება. იხვეწება ბიუროკრატია, იხვეწება სისტემები. ეგება ახალი ვალდებულებები. ხომ არ გავიწყდება, რომ საუბარია იმ შეიარაღებულ ძალებზე, რომელიც 9 წლის განმავლობაში იმართებოდა მახინჯი სისტემებით, სადაც ბევრი საკომუნიკაციო ხაზი, ბევრი სამეთაურო ინფორმაციული ურთიერთობა დამახინჯებულია, რომელსაც უნდა ეტაპობრივად გამოსწორება ახალი ტენდენციების გაჩენით. ასე ერთბაშად გამოსწორება შეუძლებელია, დრო სჭირდება. ურთულესი პროცესია, სამხედრო მანქანის ტრანსფორმაციის პროცესია, ფაქტობრივად, 9 წლის განმავლობაში ერთმანეთში აღრეული სამხედრო და სამოქალაქო კომპეტენციები. ყველაფერი სწორდება და სისტემა გამართულად მუშაობს. თუ გამოჩნდება, რომ რაღაც არაჯანსაღად მუშაობს, თავდაცვის უწყებას – სამოქალაქო ოფისსა და სამხედრო გენერალიტეტს უნდა შეეძლოს მოქნილი რეაგირება, პრობლემის დაუყოვნებლივ გამოსწორება და არა დამალვა და საზოგადოებისაგან ფარული ქმედება.

***– თუ არის არაკომპეტენტური მართვა, სისტემის ბრალი შეიძლება იყოს და არა პიროვნებების?***

– დიახ. ტრანსფორმაციის ერთ-ერთი მიზანია ყველა ინსტიტუციური პრობლემის აღმოფხვრა. პიროვნებებსა და მის დანაშაულზე კი ვერ ვისაუბრებთ, გამოძიებამ უნდა თქვას თავისი სიტყვა. ხომ არ გავიწყდებათ, რომ ის ამბავი, რომელზეც ამხელა აჟიოტაჟია ატეხილი, ორი წლის წინანდელია. მაშინ ჯერ კიდევ პოსტნაციონალური ვითარება იყო შეიარაღებულ ძალებში და ნაციონალური სინდრომიდან არ იყო გამოსული.

***– რა ამოცანა აქვს დღეს შეიარაღებულ ძალებს?***

– შეიარაღებულ ძალებს აქვს ერთი დიდი ამოცანა – დაკისრებული ვალდებულებების შესრულება როგორც საზღვარგარეთ, მისიებში, ასევე ქვეყნის შიგნით. ის მუშა ორგანოა. ჩვენ ვსაუბრობთ ამ მუშა და დიდი ამოცანების მქონე ორგანოზე.

***– აფრიკაში ქართულ მისიასთან დაკავშირებული ბრალდებები უწყების მხრიდან მაღალ დონეზე გასაჯაროებას ექვემდებარებოდა?***

– ყველა ის საკითხი, რომლებიც არ შეიცავს საიდუმლოს და არ დააზარალებს თავდაცვის უწყებას, ქვეყნის ინტერესებს, იქნება ღია, საჯარო. ქვეყნის თავდაცვა არის ყველა მოქალაქის ვალდებულება. აქედან გამომდინარე, საზოგადოებას გარკვეულ პროცესებს არავინ დაუმალავს, რაც მისასალმებელია და დემოკრატიული ქვეყნის შესაბამისი ქმედებაა. ერთი მხრივ, ქვეყანა არ დაზარალდება, ხოლო საზოგადოება საქმის კურსში იქნება.

***– როდესაც საუბარია სამხედრო მანქანის მართვაზე, იგულისხმება შეიარაღებული ძალების მართვა?***

– თავდაცვის სისტემის შემადგენელი ნაწილია შეიარაღებული ძალები, რომელსაც ხელმძღვანელობს თავისი შტაბი, გენერალიტეტი. ასევე ქვეყანაში არსებობს კანონმდებლობა. სამხედრო მართვა თავდაცვის მინისტრს არ ავალია. თავდაცვის მინისტრს ავალია თავდაცვის პოლიტიკის განხორციელება, მათ შორის, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის განხორციელება.

– სამხედრო პირები, რომლებიც ჯარის მართვას ახორციელებენ, რამდენად კომპეტენტურები არიან, ამაზე პასუხს არ გაგცემთ. მე არ მაქვს ვიღაცის კომპეტენტურობის საზომი.

***– ზოგადად რა კრიტერიუმებია იმის შესაფასებლად, კომპეტენტურია თუ არა ჯარის მართვა?***

– არსებობს უამრავი ღონისძიება, რომლებიც ჯარის სხვადასხვა შესაძლებლობას ზომავს. ეს არის ბრძოლისუნარიანობა, სამხედრო მომზადების ხარისხი, განათლების ხარისხი, აქტიურობის ხარისხი. ეს არის შეიარაღებული ძალების მექანიზმი, სადაც თითოეული კომპონენტი არის.

***– მონიტორინგი ხორციელდება?***

– ყველაფრის მონიტორინგი ხორციელდება. არის ერთიანი მექანიზმი, რომელიც მუშაობს.

***– ე.ი. საზოგადოება შეიძლება მშვიდად იყოს? ჯარის ამბოხება და ამგვარი კატაკლიზმები მოსალოდნელი არ არის?***

– შეიარაღებულ ძალებში პროცესები მიდის. კონტროლის მექანიზმი მუშაობს. რაღაც ცვლილებები ჩქარა ვითარდება, რაღაც – ნელა. არაფერი არაორდინარული არ ხდება. ვიღაც თუ ამბობს, რომ რაღაც პრობლემაა, იმ პრობლემას სახელი უნდა დაარქვას. შეიარაღებულ ძალებში ჯანსაღი პროცესები მიდის.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე", წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# თემურ ბასილია: „ლარის გაუფასურების ძირითადი მიზეზი საბანკო სისტემაა“

## ინტერვიუ ეკონომიკის ექსპერტ თემურ ბასილიასთან



***– ქართული ბანკების წმინდა მოგება წელს გაიზარდა და ნახევარ მილიარდ ლარს გადააჭარბა. ბიზნესსექტორის სხვა წარმომადგენლები კი შემცირებულ შემოსავლებზე, საბანკო კრედიტების გადახდის სირთულესა და სამომხმარებლო აქტივობის შემცირებაზე საუბრობენ. რით ახსნით ასეთ ვითარებას?***

– ბანკებს განსაკუთრებული მდგომარეობა შეექმნათ ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილის დროს. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მოხდა საქართველოსთვის საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან დაახლოებით 4 მილიარდი დოლარის გამოყოფა, საიდანაც მილიარდი დოლარი, მაშინდელი მთავრობის გადაწყვეტილებით, ბანკების დასახმარებლად წავიდა.

მაშინ ბანკები მძიმე მდგომარეობაში იყვნენ და მათ შეღავათიანი პირობები შეექმნათ. გარდა ამისა, ბანკებს მიეცათ სხვა საქმიანობის საშუალება. სწორედ ამან გამოიწვია, რომ მოხდა საბანკო სექტორის ხელოვნურად გაბერვა. ამას მოჰყვა ის, რომ შეიცვალნენ ამ ბანკების მფლობელები. როცა ქართულ ბანკებზეა საუბარი, რეალურად არცერთი არ არის ქართული (თუ არ ვცდები, „ქართუს“ გარდა) და მათი მფლობელები არიან ან უცხოელი მოქალაქეები ან საერთაშორისო ორგანიზაციები, ან უცხოეთში დარეგისტრირებული ფირმები.

***– რა საფრთხეს ხედავთ ამაში?***

– პირდაპირი პოლიტიკური საფრთხე ნამდვილად არ არის, მაგრამ როცა საუბარია უცხოელ მფლობელებზე, ამ შემთხვევაში მათი ლობისტური მდგომარეობა გაცილებით ძლიერია. ამ ბანკების დამფუძნებელ მსხვილ საფინანსო ინსტიტუტებს შეუძლიათ პირდაპირ მთავრობასთან აწარმოონ მოლაპარაკებები, მათ შორის თავიანთ კომერციულ ინტერესებზე. მთავრობა კი იძულებულია და ვალდებულიცაა, გაითვალისწინოს მათი ინტერესები, ანუ შეუნარჩუნოს მათ ის მონოპოლიური და სასათბურე მდგომარეობა, რომელიც შეუქმნეს რამდენიმე წლის წინ.

***– იმის თქმა გსურთ, რომ წინა ხელისუფლებამ საბანკო სისტემას სასათბურე პირობები შეუქმნა პოლიტიკური მიზნით?***

– ცხადია, ამის უკან იყო პოლიტიკური ინტერესი, რადგან ბანკების საშუალებით ხდებოდა ადამიანთა დიდი მასის გაკონტროლება ფინანსურად. ასევე ბიზნესის გაკონტროლებაც. ბანკები კი მხარს უჭერდნენ ხელისუფლებას როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურადაც.

***– როგორ უნდა მოხდეს ამ სისტემის გაჯანსაღება?***

– პირველ რიგში, ბანკები უნდა დაუბრუნდნენ თავიანთ როლს, თავიანთ ფუნქციას – დეპოზიტების მიღებას და სესხების გაცემას. სხვა არაპროფილური საქმიანობის უფლება მათ უნდა ჩამოერთვას.

***– არაპროფილური აქტივების ფლობა ბანკებს აეკრძალათ, თუმცა ექსპერტების და დეველოპერების დიდი ნაწილის შეფასებით, რეალურად ბანკებს არაპროფილური აქტივები არ დაუთმიათ. თქვენც ასე ფიქრობთ?***

– მხოლოდ ეროვნული ბანკის რომელიმე ინსტრუქციით ან გადაწყვეტილებით ამ საკითხის დარეგულირება შეუძლებელია. ამას სჭირდება საკანონმდებლო ცვლილება. ვერ გეტყვით, რატომ არ არსებობს ამის ნება ხელისუფლების მხრიდან, მაგრამ ფაქტია, რომ ეს საკითხი არაერთხელ დაისვა, თუმცა ისევ ჰაერშია გამოკიდებული.

თუ დღევანდელი ხელისუფლება ამ ნაბიჯს არ გადადგამს, კიდევ უფრო რთული პროცესები განვითარდება საფინანსო სექტორში, სადაც ისედაც რთული პროცესები მიმდინარეობს.

***– ბანკებისადმი პრეტენზიები ისმის იმ კუთხითაც, რომ მათი მმართველები ხშირად მიკროსაფინანსო ორგანიზაციების დამფუძნებლები არიან და ბანკები უპრობლემოდ უმტკიცებენ სესხებს ასეთ ორგანიზაციებს, რომლებიც, თავის მხრივ, კრედიტებს გასცემენ მაღალ პროცენტად. ამაში თუ ხედავთ პრობლემას?***

– ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მფლობელები ამ ბანკების მენეჯერები არიან ანუ ბანკი გასცემს უსაფრთხო სესხს, შემდეგ საფინანსო ინსტიტუტები კიდევ უფრო გაზრდილი პროცენტით გადაასესხებენ ამ ფულს. პრაქტიკულად გამოდის, რომ სესხის ამღებს უწევს ორმაგი პროცენტის გადახდა – ერთი ბანკისთვის და მეორე – მიკროსაფინანსო ინსტიტუტისთვის. ეს თემა საქართველოში საერთოდ არაა დარეგულირებული და ეს სფეროც აუცილებლად უნდა გაკონტროლდეს.

***– ლარის გაუფასურების პირობებში ქართულმა ბანკებმა რესტრუქტურიზაციის პროგრამები გამოაცხადეს. ამ პროგრამებმა რეალურად შეამსუბუქა დოლარის მსესხებელთა მდგომარეობა?***

– ბანკებმა გამოაცხადეს თანხის გადავადება, პროცენტი კი იგივე დარჩა. რეალურად გამოვიდა, რომ ადამიანებს უფრო მეტი საპროცენტო მომსახურების თანხა აქვთ გადასახდელი, ვიდრე ექნებოდათ, თავის დროზე რომ დაეფარათ კრედიტები. რეალურად, ბანკებს არავითარი შეღავათი არ გაუკეთებიათ კლიენტებისთვის.

***– მსგავს ვითარებაში კიდევ რა უნდა გაეკეთებინა საკრედიტო ორგანიზაციას მომხმარებლისთვის და სხვა ქვეყნებში რას აკეთებენ?***

– ბანკებს შეეძლოთ შეემცირებინათ საპროცენტო განაკვეთები და რაღაც დონეზე გაენულებინათ კიდეც. ბანკებს ისე აქვთ აწყობილი გადახდის სისტემა, რომ საპროცენტო მოგება უკვე პირველ წელს აქვთ ამოღებული და მომდევნო წლებში უკვე ზემოგებაზე მუშაობენ. ამერიკაშიც ასეა. ბანკების მხრიდან სწორი იქნებოდა ეთქვათ, რომ ეს მოგება უკვე ამოღებული აქვთ და მეორე და მესამე წელზე ან შეემცირებინათ მოგება ან საერთოდ გაენულებინათ.

***– ბანკებისთვის ეს საშიში პრეცედენტი არ იქნებოდა?***

– ეს იქნებოდა გონივრული პრეცედენტი, რადგან ბანკებისთვისაც აუცილებელია, რომ მათი კლიენტები არ გაკოტრდნენ და გადახდისუნარიანი იყვნენ. ბანკებს ხომ კლიენტები სჭირდებათ. თუ კლიენტები მოაკლდებათ, გრძელვადიან პერსპექტივაში ეს მათ შემოსავლებს შეამცირებს.

***– ბანკების მდგომარეობაში რა შეცვალა ლარის დევალვაციამ?***

– გასულ წელს გაცემული იყო მილიარდი დოლარის მოკლევადიანი კრედიტი, ლარის გასული წლის კურსით ლარებში ეს თანხა იყო 1,7 მილიარდი. კურსის ცვლილებამ კი ეს 1 მილიარდი გადააქცია 2,4 მილიარდ ლარად ანუ იმავე სესხის მომსახურებას 700 მილიონი ლარით მეტი სჭირდება. ესაა ლარების ის რაოდენობა, რომელიც ამოდის მიმოქცევიდან. ეს კი ბიზნესის განვითარებას არ უწყობს ხელს.

***– ეს ხომ ბანკების „დანაშაული“ არ არის. თანაც მომხმარებლის გადახდისუნარიანობის გაუარესება, რომელიც ლარის გაუფასურებას მოსდევს, ბანკსაც ხომ აზარალებს?***

– ეს არის მთლიანობაში ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგი. ასევე მთავრობის მხრიდან ამ პროცესის არჩარევისა და მთლიანად საბანკო სექტორში არსებული ვითარების შედეგი. სწორედ საბანკო სისტემაა ძირითადი მიზეზი, რის გამოც ხდებოდა ლარის დევალვაცია.

***– რა გაქვთ მხედველობაში?***

– სავალუტო ფონდის გასული წლის იანვრის ანგარიშში პირდაპირ წერია, რომ ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული რისკი არის ბანკების მიერ დოლარში გაცემული სესხების დიდი ნაწილი, რომელთა დაბრუნება გართულდება ლარის დევალვაციის გამო. ამ მიმართულებით სავალუტო ფონდი ზუსტად ერთი წლის წინ რეკომენდაციებს აძლევდა ეროვნულ ბანკს და მთავრობას, სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ბევრი არაფერი გაკეთებულა.

მეორე პრობლემაა ლიკვიდობის რისკი, როდესაც საბანკო სექტორს არ გააჩნია ფული, რათა დაფაროს ვალდებულებები, მათ შორის მეანაბრეების წინაშე. სწორედ იმის გამო, რომ ბანკები გაკოტრების წინაშე დადგნენ (შესაძლოა ეს ვინმეს უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ ასეა) ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მათზე სესხების გაცემა – ე.წ. რეფინანსირების სესხების. 1 მილიარდ ლარზე მეტი ასეთი სესხია უკვე გაცემული. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რამაც ლარის კურსის ვარდნა გამოიწვია. ბანკების არასწორი მენეჯმენტის გამო ეროვნული ბანკი იძულებული გახდა, მათზე მილიარდ ლარზე მეტი სესხი გაეცა. აი, სწორედ ესაა ბანკების „როლი“ ლარის გაუფასურებაში. საბანკო რეგულაცია საქართველოში მოიკოჭლებს და ესაა პრობლემა.

***– მაღალი დოლარიზაციის პრობლემაზე საქართველოში ექსპერტებიც და მინისტრებიც საუბრობენ. ეკონომიკური სირთულეების პირობებში ხელისუფლებას ან ეროვნულ ბანკს რა ბერკეტი აქვს, ხელი შეუწყოს ამ მაჩვენებლის შემცირებას?***

– დოლარიზაციის შემცირება სავალუტო ფონდის ერთ-ერთი რეკომენდაციაა. არ მიყვარს წინა ხელისუფლებების კრიტიკა, მაგრამ ფაქტია, რომ სააკაშვილის დროს ბანკებს მიეცათ ექსკლუზიური უფლება, ოპერაციები უცხოურ ვალუტაში ეწარმოებინათ. მანამდე მათ ლარში უნდა განეხორციელებინათ ოპერაციები. თუ ვინმეს დოლარის სესხება სურდა, სესხი ლარში უნდა აეღო და შემდეგ გადაეხურდავებინა დოლარში.

***– რამდენად დემოკრატიულია ეს მიდგომა?***

– ნამდვილად დემოკრატიულია და აშშ-შიც და ევროგაერთიანებაშიც ასე ხდება. ასე იყო ჩვენთანაც, მაგრამ ეს სისტემა მოიშალა. მსგავსი სისტემა ხელს შეუწყობდა ლარის მიმართ ნდობის გამყარებას.

***– თქვენ საუბრობთ, რომ ხელისუფლება არ რეაგირებს საბანკო სექტორის გაჯანსაღების მოთხოვნებზე და რეკომენდაციებზე. საპოლიციო გამოსახლების გაუქმებას არ მიიჩნევთ ამ მხრივ გადადგმულ ნაბიჯად?***

– ეს ერთ-ერთი სწორი, წინგადადგმული ნაბიჯი გახლავთ. იგივე ამერიკის შეერთებულ შტატებში არანაირი პოლიციური გამოსახლება არ არსებობს. თუ ადამიანი დროულად ვერ იხდის კრედიტს, მას ბანკიდან მისდის შეტყობინება. თუ მაინც ვერ იხდის, ხდება მიმართვა სასამართლოსთვის და უკვე სასამართლო პროცედურები იწყება.

***– თუმცა ამერიკული სასამართლო ქართულზე ეფექტურია და სწორედ სასამართლო სისტემის ხარვეზია ის მიზეზი, რის გამოც საქართველოში ამ კანონის მიღებად ეწინააღმდეგებოდნენ.***

– ნორმალური სისტემაა ის, რომ ადამიანის უფლებები უნდა იყოს დაცული. თუ ჩვენ მივდივართ ნორმალური ცივილიზებული სახელმწიფოს მშენებლობისკენ, ეს ფორმა უნდა იყოს დანერგილი, რაც გაკეთდა და სწორია.

***– თუ ეს ნაბიჯი გადაიდგა, სხვა ნაბიჯებზე რატომ არ მიდის ხელისუფლება – ხომ არ ეშინია მას ფინანსური რყევების?***

– რეგულაციების გამკაცრება ფინანსურ რყევებს ნამდვილად არ გამოიწვევს, პირიქით, დაასტაბილურებს ვითარებას. მაგრამ ხელისუფლებას უჭირს გადაწყვეტილებების მიღება.

***– ახალი პრემიერის მოსვლის შემდეგ არ ელოდებით, რომ მთავრობა უფრო აქტიური იქნება?***

– გიორგის დიდი ხანია ვიცნობ, ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ერთ-ერთი სამსახურის უფროსი გახლდათ, როდესაც მე პრეზიდენტის თანაშემწე ვიყავი, და მხოლოდ დადებითი შემიძლია ვილაპარაკო მასზე როგორც პიროვნული, ისე პროფესიონალური თვალსაზრისით. ბოლო პერიოდში, საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში აშშ-ში ყოფნისას, მე მას რამდენჯერმე შევხვდი და ამ თემებზეც ვისაუბრეთ. მიმაჩნია, რომ კარგი კანდიდატურაა, მაგრამ კითხვაა, რამდენად შეძლებს ის არსებული წინააღმდეგობების დაძლევას, არსებული ლობისტური ჯგუფების წინააღმდეგობის დაძლევას. ამას სჭირდება ძალიან ძლიერი პოლიტიკური ნება და მხარდაჭერა.

**კომერსანტ.გე**

# „აფბა“ მედიკამენტების ფასების მონიტორინგს იწყებს

## რა არის ფანასკერტელის ინდექსი?

„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია აფბა“ მედიკამენტების ბაზარზე ფასების მონიტორინგს იწყებს.

როგორც ორგანიზაციაში აცხადებენ, მედიკამენტებზე არსებული ფასები დღეს მუდმივი მსჯელობის საგანია. ორგანიზაციამ შეიმუშავა ეკონომიკური ინდექსი, სახელად „ფანასკერტელის ინდექსი“, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, მედიკამენტების ყველაზე მოთხოვნად კონკრეტულ ჯგუფებზე ფასებზე დაკვირვების შედეგად ცნობილი გახდეს, თუ როგორ იცვლება ფასები მედიკამენტების ბაზარზე.

– მუდმივად ისმის უკმაყოფილება და კითხვები მედიკამენტების ბაზრის სიძვირესთან დაკავშირებით. ფარმაცევტულ ბაზარზე შექმნილი მდგომარეობის შესასწავლად „აფბას“ ვრცელი კვლევა უკვე ჩატარებული აქვს, ბაზრისთვის დამახასიათებელი ძირითადი ტენდენციები უკვე გამოიკვეთა. პირველ რიგში, ეს არის ბაზარზე მოქმედი კომპანიების მიერ მოგების მაღალი მარჟით ოპერირება, – აცხადებენ კომპანიაში.

სოციალური პროგრამების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა მილიონ-ნახევარს აჭარბებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს მოქალაქეთა პრაქტიკულად ნახევრისთვის მედიკამენტებზე არსებული ფასები მძიმე ტვირთია.

– სწორედ ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვფლობდეთ რეალურ ინფორმაციას, იზრდება თუ მცირდება ფასები ყველაზე მოთხოვნად მედიკამენტებზე და რა პროცესები და ფაქტორები იწვევს ამ ცვლილებებს. „ფანასკერტელის ინდექსი“ სწორედ ამის საშუალებას იძლევა, – განმარტავენ ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ორგანიზაციის მიერ შესწავლის ფინალურ ფაზაშია ბაზარზე არსებული ყველაზე მოთხოვნადი 200 დასახელების მედიკამენტი, რომლის საფუძველზეც დაიანგარიშება ინდექსი.

ფასების დადგენა მოხდა სააფთიაქო ქსელებში ინკოგნიტოდ გამოკითხვისა და სატელეფონო გამოკითხვის მეთოდით.

„აფბა“ თანამშრომლობის თხოვნით მიმართავს ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე მოქმედ კომპანიებს, რათა „ფანასკერტელის ინდექსზე“ ორგანიზაციის მუშაობა იყოს სრულიად გამჭვირვალე და რეალური ვითარების ასახვაზე ორიენტირებული.

„აფბა“ აცხადებს, რომ რამდენიმე კონკრეტული მნიშვნელოვანი დეტალის დაზუსტების შემდეგ „ფანასკერტელის ინდექსის“ ციფრობრივ და პროცენტულ გამოხატულებას უახლოეს მომავალში წარმოადგენს.

„ფანასკერტელის ინდექსი“ ყოველთვიურ რეჟიმში განახლდება.

– რატომ ფანასკერტელი? ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი არის მე-15 საუკუნის ქართველი პოლიტიკური მოღვაწე და მეცნიერი, ავტორი ორიგინალური სამედიცინო ძეგლისა „სამკურნალო წიგნი – კარაბადინი“. ზაზა ფანასკერტელს განსაკუთრებული ადგილი უკავია ძველი ქართული მედიცინის ისტორიაში. ის ძველი დროის ერთადერთი ქართველი ექიმი-მეცნიერია, რომლის ავტორობა სამკურნალო წიგნზე და ბიოგრაფიული მონაცემები ეჭვს არ იწვევს. შესაბამისად, ინდექსის სახელწოდებაზე მუშაობისას, მთავარი ინსპირაცია სწორედ ქართული მედიცინის განვითარებაში მისი დამსახურება და ღვაწლი იყო, – აცხადებენ ორგანიზაციაში.

**კომერსანტ.გე**

# ლევან ალაფიშვილი: „მთავრობა მოსამართლეთა ნაწილთან ჰარმონიულად თანაცხოვრობს“

თია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი, სამართლის ექსპერტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესს საშიშს უწოდებს.

***– ბატონო ლევან, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ პრეზიდენტი ზეწოლაში დაადანაშაულა. თქვენ ხედავთ პრეზიდენტის მხრიდან სისტემაზე ზეწოლის ნიშნებს?***

– პრეზიდენტის მხრიდან მოსამართლეებზე ზეწოლის გამოვლინებას ადგილი არ ჰქონდა და ვერც ექნებოდა. ეს ყველაზე კარგად თავად მოსამართლეებმა იციან. პრეზიდენტს მოსამართლეებზე ზეწოლა რომ სდომებოდა, მას ჰყავს მრჩევლები და ამას ისე გააკეთებდა, რომ სალაპარაკო არ ყოფილიყო, მით უფრო ასეთი შეფასებისთვის ადგილი არ დაეტოვებინა. საქმე ჩვენ სრულიად სხვა რამესთან გვაქვს.

***– რასთან?***

– უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატის შერჩევის დროს პირობითად სამი დაჯგუფება იყო წარმოდგენილი. მაშინ პრეზიდენტმა არცერთი ჯგუფის სასარგებლოდ არ მიიღო გადაწყვეტილება. მან სულ სხვა კანდიდატი შეარჩია და წარუდგინა პარლამენტს დასამტკიცებლად.

ნინო გვენეტაძე იყო ის კანდიდატი, რომლის წინააღმდეგაც ხმის მიცემა თავად საპარლამენტო უმრავლესობას დააზარალებდა. მიუხედავად ამისა, ნინო გვენეტაძე სისტემის მართვის თვალსაზრისით სუსტი აღმოჩნდა. მე ვისურვებდი, რომ ის უფრო ძლიერი იყოს.

***– რა უნდა მოიმოქმედოს, რომ უფრო ძლიერი იყოს?***

– უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ამ პროცესში მარტო ვერაფერს გახდება. მას სჭირდება აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების სრული მხარდაჭერა. სხვადასხვა ნოტზე არ უნდა საუბრობდნენ იუსტიციის მინისტრი და უზენაესის სასამართლოს თავმჯდომარე, როდესაც სისტემის რეფორმირებაზეა საუბარი.

***– რა სურათი გვაქვს დღეს?***

– მმართველი კოალიციის პოლიტიკური ტაქტიკა შეიცვალა. პროცესს ახლდა და ახლავს პოლიტიკური შემადგენელი. საზოგადოებას შევახსენებ მურუსიძის მისვლასა და შეხვედრას ყოფილ პრემიერთან და შემდეგ გაკეთებულ განცხადებებს. პოლიტიკურ შემადგენელს სასამართლო სისტემა შეეწირება, ასე არ შეიძლება, ეს დაუშვებელია. სასამართლო სისტემა პოლიტიკის მიღმაა. ის ამ ყველაფერზე მაღლა დგას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ მივიღებთ პოლიტიზე-



ბულ და მიკერძოებულ სასამართლო სისტემას. პოლიტიკური მოტივაციებით მიღებული გადაწყვეტილებები დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. ეს კი ქაოსსა და რყევებს გამოიწვევს, რასაც არცერთ სახელმწიფოს არ ვუსურვებდი. მთავრობა მოსამართლეთა ამ ნაწილთან ჰარმონიულად თანაცხოვრობს, კოჰაბიტაციაშია.

***– მოსამართლეებს უნდათ თუ არა, იყვნენ დამოუკიდებლები, აქვთ თუ არა რეალური სურვილი, არავინ ჩაერიოს მათ გადაწყვეტილებაში?***

– ძალიან გულგატეხილი მოქალაქე ვიქნებოდი, მოსამართლეებში რომ არ ვხედავდე ამის სურვილს. ისინი არ შეუშინდნენ თავიანთ შეცდომებს, მაგრამ რამდენი მოსამართლეა ასეთი, ვერ გეტყვით.

***– საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანმა განაცხადა, რომ მოსამართლეებმა ტესტები წინასწარ იცოდნენ. თუ ეს ფაქტი დადასტურდა, რა შედეგი შეიძლება დადგეს?***

– ამ ინფორმაციის დღეს გავრცელებას საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მხრიდან შევაფასებდი პროცესის გაგრძელებად. თუ გახსოვთ, მან სკანდალური განცხადება გააკეთა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოს გადადგომასთან დაკავშირებით.

ეს ტაქტიკური თამაშია. მე ვსაუბრობ სასამართლო სისტემაში სამ დაჯგუფებაზე. როგორც ჩანს, სავარაუდოდ, რომელიღაც ჯგუფის ინტერესები არ დაკმაყოფილდა ან არასრულად დაკმაყოფილდა. ეს მათში იწვევს განცდას, რომ პროცესის მიღმა ან შესაძლოა საერთოდ თანამდებობის მიღმა რჩებიან, შესაბამისად, ცდილობენ, საჯარო სივრცეში გამოჩენითა და ყურადღების მიპყრობით საჯარო სივრცის მიღმა მიმდინარე პროცესებზე მოახდინონ გავლენა. შემთხვევით ასეთი ინფორმაციების გასაჯაროება არ ხდება.

***– თქვენ ამ ინფორმაციას ეჭვქვეშ აყენებთ?***

– ნებისმიერმა იურისტმა იცის, რომ თუ ასე იყო, მაშინ მინიმუმ პროცედურულ გადაცდომასთან გვაქვს საქმე. ინფორმაცია თუ გაქვს, არათუ მტკიცებულება, და მას ინახავ, ეს კითხვის ნიშნებს აჩენს.

***– თუ ინფორმაცია ჰქონდა, რა გააკეთა ახვლედიანმა იმისთვის, რომ რეალობა გაერკვია?***

– დახურულ რეჟიმში გახდა თუ არა ეს საკითხი მისი მხრიდან მსჯელობის საგანი?! ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ინფორმაციაც კი, არათუ მტკიცებულება, მისი მხრიდან იმსახურებდა ყურადღებას გადამოწმების კუთხით. მაინტერესებს, გააკეთა თუ არა ეს საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ?

***– ბატონო ლევან, ის, რასაც ვხედავთ, რეფორმის ნაწილია?***

– არა. თუ ასე გაგრძელდა, ეს იქნება სისტემის დასასრულის დასაწყისი, არა მხოლოდ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის, არამედ სახელმწიფოებრიობის საფუძვლების შერყევის. პოლიტიკისგან არგამიჯნული სასამართლო ნიშნავს სწორედ სახელმწიფოს, დემოკრატიის საფუძვლების რეალურ შერყევას.

# „ბიძინა კუჭავა მოკლეს“



ადვოკატ ნათია კორკოტაძის განცხადებით, ბიძინა კუჭავას გარდაცვალების საქმის მთავარი მოწმის მანქანაში საეჭვო გარემოებები არსებობს.

კორკოტაძემ ამის შესახებ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

– კუჭავას თავი არ მოუკლავს, კუჭავა მოკლულია. საეჭვო გარემოება ის არის, რომ წინა სალონში, მძღოლის მხარეს საფერფლე არის გავსებული, აღარ ეტევა და ქვევით არის გადმოყრილი. რაც შეეხება უკანა სალონს, სადაც კუჭავა იჯდა, ის იყო სისტემატური მწეველი, ფერფლი საერთოდ არ არის, – განმარტავს ნათია კორკოტაძე.

ბიძინა კუჭავას გარდაცვალების საქმის მთავარი მოწმის, დავით პოპოვის მანქანას ექსპერტიზა რამდენიმე საათია უტარდება. პროცესს ბიძინა კუჭავას ოჯახის წევრებიც ესწრებიან.

❖ ❖ ❖

პროკურორ ვახტანგ ქირიას მკვლელობაში ბრალდებულმა ბიძინა კუჭავამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ვახტანგ ქირიას ცხედარი მიმდინარე წლის 16 იანვარს ვაჟა-ფშაველას გამზირზე, მე-7 კვარტლის 24-ე კორპუსის ერთ-ერთ დაკეტილ საცხოვრებელ ბინაში აღმოაჩინეს. შსს-ს ცნობით, მას სხეულზე აღენიშნებოდა დაზიანებები და ბასრი საგნით მიყენებული ჭრილობები, ხოლო თავის არეში – ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობები. შსს-ს ინფორმაციით, ბინა, რომელშიც ვახტანგ ქირიას ცხედარი აღმოჩნდა, ნაქირავები ჰქონდა 1962 წელს დაბადებულ ბიძინა კუჭავას და იქ არსებული დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ნივთებიც შეძენილი იყო მის მიერვე ე.წ. ელიავას ბაზრობაზე რამდენიმე დღით ადრე. გამოძიებით დგინდება, რომ ვახტანგ ქირიასა და ბიძინა კუჭავას აკავშირებდათ ნათესაური და საკმაოდ ახლო კავშირი და ჩადენილი დანაშაული შეხებაში არ არის ვახტანგ ქირიას სამსახურებრივ საქმიანობასთან.

შსს-ს ცნობითვე, დავით პოპოვი და მისი ცოლი ბიძინა კუჭავას თვითმკვლელობის თვითმხილველები არიან.

**ნიუსპრესი**

# საბავშვო ბაღების თანამშრომლებს ანაზღაურება 5-დან 20%-მდე გაეზარდათ

## საშუალო ხელფასი 300 ლარი გახდება

საბავშვო ბაღების თანამშრომლებს 1 თებერვლიდან ანაზღაურება 5-დან 20%-მდე გაეზრდებათ.

ამის შესახებ გუშინ, 1 თებერვალს, თბილისის მერიაში გამართულ ბრიფინგზე მერის მოადგილემ ირაკლი ლექვინაძემ განაცხადა.

ლექვინაძის თქმით, 5-დან 20%-მდე გაზრდილ ხელფასს თბილისის საბავშვო ბაღებში სხვადასხვა თანამდებობაზე მომუშავე პირები მიიღებენ.

სულ ხელფასის მომატება 6.585 თანამშრომელს შეეხება, ამ მიზნით კი თბილისის მერიის წლევანდელი ბიუჯეტიდან 3.642.000 ლარია გამოყოფილი.

– თბილისის მერის ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება საბავშვო ბაღებში თანამშრომლებისათვის ხელფასების გაზრდა იყო. დღეს ჩვენ ამ დაპირებას ვასრულებთ. ასევე საბავშვო ბაღების 17 დირექტორს ხელფასები სხვა დირექტორების მსგავსად ექნებათ და მათ ხელფასებს გაუთანაბრდება, – განაცხადა ლექვინაძემ.

მისივე თქმით, საბავშვო ბაღებში თბილისის მერიის შპსებისა და აიპი-სგან განსხვავებით, დაბალი ხელფასები იყო და საბავშვო ბაღების თანამშრომლების ხელფასების ზრდა სწორედ ამით არის განპირობებული.

ბრიფინგში ასევე მონაწილეობდა თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი თემურ თორდინავა.

მან დაასახელა საბავშვო ბაღების თანამშრომლების ის პოზიციები, რომლებიც გაზრდილ ხელფასს მიიღებენ.



კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორს ხელფასი გაეზრდება 5 პროცენტით, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორს – 10 პროცენტით, ჯანმრთელობისა და ჰიგიენის უზრუნველყოფის კოორდინატორს – 15 პროცენტით, აღმზრდელს – 10 პროცენტით, აღმზრდელის თანაშემწეს (ძიძა) – 10 პროცენტით, მუსიკისა და ცეკვის პედაგოგებს – 7-7 პროცენტით, მზარეულს – 20 პროცენტით, მზარეულის დამხმარეს – 20 პროცენტით, დამლაგებელს – 20 პროცენტით, მრეცხავს – 20 პროცენტით, საქმის მწარმოებელს – 15 პროცენტით, ფსიქოლოგს – 15 პროცენტით, ლოგოპედს – 10 პროცენტით.

თორდინავამ საუბრისას დასძინა, რომ 17 დირექტორს განსხვავებული ხელფასი ჰქონდა და ისინი გაუთანაბრდება სხვა დირექტორების ხელფასს.

კერძოდ, 17 დირექტორის ხელფასი 800 ლარს შეადგენდა დარიცხვის გარეშე და ამჟამად ექნებათ უკვე 1.000 ლარი.

მთლიანობაში, მომატებული ხელფასებით, საბავშვო ბაღებში დასაქმებული თანამშრომლების საშუალო ხელფასი 300 ლარი იქნება.

# ალეკო ელისაშვილი: „პროკურატურა ცდილობს, ბესელია და კობახიძე ამ საქმიდან გამოაძევრინოს“



პარლამენტის ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ სხდომაზე გუშინ შეწყალების კომისიის ყოფილ თავმჯდომარე ალეკო ელისაშვილს მოუსმინეს.

საკრებულოს დეპუტატი ამბობს, რომ მასზე მაღალი თანამდებობის პირები ზეწოლას ახდენდნენ და უმრავლესობის წარმომადგენლებს კორუფციაში ადანაშაულებს.

– მივდივარ, რომ მოვუყვე, რეალურად რა იყო, როგორ იყო, რატომ არის აუცილებელი, რომ პარლამენტში შეიქმნას საგამოძიებო კომისია და რატომ არ ვენდობი მე პროკურატურას, სადაც ცხრაკლიტულში, პირდაპირ გაჩაღებულია მუშაობა ამ საქმის ჩასაფარცხად და პროკურატურა ცდილობს, ბესელია და კობახიძე ამ საქმიდან როგორმე გამოაძვრინოს. ვეცდები, რომ ეს საკითხი პარლამენტის დღის წესრიგში დადგეს, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

**ნიუსპრესი**

# თბილისში ახალი ავტობუსები აგვისტოში შემოვა

აგვისტოში დედაქალაქში ახალი ავტობუსები შემოვა.

როგორც თბილისის ვიცე-მერმა ლაშა აბაშიძემ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის საქმიანობის პრეზენტაციის დაწყებამდე დედაქალაქის მერიაში განაცხადა, 175 ახალ ავტობუსებზე ტენდერი გამოცხადებული არის იბიარდის საიტზე, პროექტი იბიარდის თანადაფინანსებით ხორციელდება. ვიცე-მერის ინფორმაციით, ტენდერი 9 მარტს დასრულდება.

– აგვისტოში უკვე შემოვა სრულიად ახალი, თანამედროვე უსაფრთხო ახალი ტექნოლოგიებით დამზადებული ავტობუსები, ეს არის ძალიან სასიხარულო ინფორმაცია თბილისისთვის, რადგან ქალაქს ასეთი ავტობუსები ჯერ არ ჰქონია, – განაცხადა ლაშა აბაშიძემ.

მისივე ცნობით, მერია ეტაპობრივად, სრულად გამოცვლის ავტობაზას. მიმდინარე წელს დედაქალაქში შემოვა 175 ერთეული ახალი ავტობუსი, ხოლო მომდევნო წლებში ავტობაზის სრული შეცვლა იგეგმება. ვიცე-მერის ცნობით, ასევე აშენდება ახალი ავტობაზა, რომელიც აღნიშნულ ავტობუსებს მოემსახურება.



**ბიპიენი**

# ვაკე-საბურთალოს გზაზე ბანერი ჩამოვარდა

ვაკე-საბურთალოს გზაზე სარეკლამო ბანერი ჩამოვარდა.

რუსთავი 2-ის ცნობით, თამარაშვილის 11 ნომერთან მდებარე ბანერის კონსტრუქციის ძირი გადატყდა, რამაც მისი ჩამოვარდნა გამოიწვია.

მომხდარის გამო არავინ დაშავებულა.



ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# აშშ: პრაიმერიზი დაიწყო



აიოვას შტატში დაიწყო პრაიმერიზი, სადაც გამოიკვეთებიან პრეზიდენტობის როგორც რესპუბლიკელი, ისე დემოკრატი კანდიდატები.

კენჭისყრამ აიოვას შტატში მოულოდნელი შედეგები აჩვენა. რესპუბლიკელთა შორის ყველაზე მეტი ხმა სენატორმა ტედ კრუზმა დააგროვა – 28%, დონალდ ტრამპმა კი, რომელსაც ყველა გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა – მხოლოდ 24%. სენატორი მარკ რუბიო მესამეზე გავიდა.

აიოვას შტატში კენჭისყრის შემდეგ ბრძოლას გამოეთიშა კიდევ ერთი რესპუბლიკელი კანდიდატი მაიკ ჰაკაბი.

ტრამპმა მარცხი უმალ აღიარა და ტედ კრუზს გამარჯვება პირველმა მიულოცა. ტელეკამერებმა დააფიქსირა, თუ როგორ ჩამოართვეს მათ ერთმანეთს ხელი.

– თქვენ ღირსეული მოწინააღმდეგე ბრძანდებით, ამიტომ მეორე ადგილი ჩემთვის საპატიოა, – უთხრა კრუზს ტრამპმა.

ასევე დაძაბულად წარიმართა ბრძოლა დემოკრატებს შორის.

სანდერსს აიოველ დემოკრატებს შორის ბევრი მომხრე ჰყავდა, ამიტომაც მთელი თავისი რესურსის მობილიზება მოახდინა. ამან კენჭისყრის მიმდინარეობაზე გავლენა იქონია. ჰილარი კლინტონმა 50%-ზე ოდნავ მეტი ხმა დააგროვა, სანდერსმა – 49%-ზე ოდნავ მეტი.

პრაიმერიზის მეორე რაუნდი რვა დღის შემდეგ ნიუჰემპშირში გაიმართება.

# მერკელი: „რუსეთის წინააღმდეგ სანქციები ძალაში დარჩება“



გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ რუსეთი მინსკის ხელშეკრულებებს არ ასრულებს, დონბასში არ წყდება სროლები, სისტემატურად ხდება შეტაკებების პროვოცირება და ყოველივე ამის უკან მოსკოვი დგას.

– უკრაინა მინსკის შეთანხმებებს იცავს, რასაც ვერ ვიტყვით რუსეთზე, – თქვა კანცლერმა.

მერკელმა განაცხადა, რომ სანქციები რუსეთის მიმართ ძალაში დარჩება. ასე გაგრძელდება მანამ, სანამ მოსკოვი მინსკის შეთანხმებების შესრულებას არ დაიწყებს, კერძოდ, არ გაიყვანს ჯარს დონბასიდან და რუსეთ-უკრაინის საზღვრის დონბასის მონაკვეთზე კონტროლის უფლებას უკრაინას არ გადასცემს.

კანცლერმა ევროკავშირის ქვეყნებს მოუწოდა, სანქციები გააგრძელონ.

# პოლონეთმა გაზპრომს სასამართლოში უჩივლა




პოლონეთის მთავრობამ გაზპრომს სტოკჰოლმის საარბიტრაჟო სასამართლოში უჩივლა.

მიზეზი გაზპრომის მიერ ფასების ხელოვნური ზრდა და პოლონეთზე ზეწოლა გახდა.

– გაზპრომი თავის მდგომარეობას ბოროტად იყენებს. ჩვენ ამასთან შეგუებას არ ვაპირებთ, – განაცხადა პოლონეთის პრეზიდენტმა ანჟეი დუდამ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# რაულ კასტრო პარიზში ჩავიდა


© picture-alliance/dpa/E. Laurent

კუბის პრეზიდენტი რაულ კასტრო პარიზში ჩავიდა. ეს მრავალი წლის შემდეგ კუბის ლიდერის პირველი ვიზიტია საფრანგეთში.

უკანასკნელად პარიზს ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა კუბის მაშინდელი პრეზიდენტი ბატისტა, რომელიც შემდგომში ფიდელ კასტრომ დაამხო.

რაულ კასტრო საფრანგეთის პრეზიდენტმა ოლანდმა მიიღო. საუბარმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ოლანდმა კუბელ სტუმარს აღუთქვა, რომ კუბა-ევროპის დაახლოებას ხელს შეუწყობს.

# გოდების კედელთან ქალები და კაცები ერთად ილოცებენ

ქალებსა და მამაკაცებს იერუსალიმში გოდების კედელთან ერთად ლოცვის უფლება მისცეს, რასაც მასმედიამ „ისტორიული შეთანხმება“ დაარქვა.

ისრაელის ხელისუფლებამ მხარი დაუჭირა მუდმივი და ოფიციალური შერეული სექციის შექმნას იერუსალიმის სახელგანთქმულ ღირსშესანიშნაობასთან. ორგანიზაცია „კედლის ქალები“ ამ უფლების მოსაპოვებლად ბოლო 27 წლის განმავლობაში იბრძოდა. საპროტესტო აქციებს ყოველთვიურად მართავდნენ, რაც არცთუ იშვიათად ჩხუბითა და დაკავებებით სრულდებოდა.

ისრაელის „ულტრაორთოდოქსული რელიგიური ისტებლიშმენტის“ წარმომადგენლებისთვის ქალების მოთხოვნა კატეგორიულად მიუღებელი იყო.

გოდების კედლის ახალი სექცია 1,2 ათასამდე მომლოცველს დაიტევს, ხოლო მისი მმართველობით სახელმწიფო ჩინოსნები იქნებიან დაკავებული.



# სტუდენტი ნესტლესგან სიცოცხლის ბოლომდე შოკოლადით უზრუნველყოფას მოითხოვს

ბრიტანელმა სტუდენტმა საიმა ახმადმა კომპანია ნესტლესგან მოითხოვა, რომ ის სიცოცხლის ბოლომდე შოკოლადით მოამარაგოს. ეს მოთხოვნა მას შემდეგ წამოაყენა, როდესაც კომპანიის მიერ წარმოებული შოკოლად კიტკეტის რვა შეკვრა შეიძინა, მაგრამ ვერცერთ მათგანში ვაფლი ვერ აღმოაჩინა.

20 წლის სტუდენტის თქმით, რომელიც ლონდონის კინგს-კოლეჯის იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსზე სწავლობს, მან წუნდებული შოკოლადის შეკვრა ორ ფუნტად (დაახლოებით 2,8 დოლარი) გასული წლის დეკემბერში შეიძინა.

– ისინი კიტკეტის უნიკალურ კონცეფციას უწევენ რეკლამას, მაგრამ ჩემ მიერ შეძენილი პროდუქტით უკიდურესად გულდაწყვეტილი ვარ, – განაცხადა გოგონამ. ახმადმა ასევე აღნიშნა, რომ მხოლოდ კიტკეტში უკეთდება რეკლამა „ვაფლისა და შოკოლადის უნიკალურ შეთავსებას“, რომლის ფანიც თავადაა.

კომპანია ნესტლესთვის გაგზავნილ წერილში გოგონამ იმედი გამოთქვა, რომ კომპანია მომხდარის გამო ბოდიშს მოუხდის და ამიერიდან უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს საკუთარი პროდუქციის ხარისხიანობას. მან ასევე აღნიშნა, რომ ნესტლეს მიმართ რწმენა დაკარგა და მას ფინანსური და მორალური ზიანი მიადგა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


სერტიფიცირებული კოსმეტოლოგი მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



## ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთიერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმავლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**



# განცხადებები

**მკურნალობა**

● ქირავდება 18 კვადრატული მეტრის კომერციული ფართი მეტრო „ახმეტელთან“, ხიზანიშვილის 29-ის უკანა მხარეს, ბაზარში შესასვლელ გზაზე, II სართულზე, სველი წერტილებით, ატმორით. გამოდგება საოფისედ, სამედიცინო კაბინეტად. საარჩევნო შტატებისთვის შეიძლება პირველი სართულის მიმატებაც. ტელ: 591-68-90-20; 599-94-51-82.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● ქირავდება 3 ოთახიანი ბინა ცოტნე დადიანზე, მიშენებით, ევრორემონტით, ავეჯით, ტექნიკით, გარაჟით, სათავსოებით. ფასი 300. ტელ.599512607. 577779704.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# მილტონ ჰეიგი: „ახლა ის დროა, ახალგაზრდები გამოვცადოთ“



2016 წლის საერთაშორისო სეზონამდე სულ ცოტა დრო რჩება – 6 თებერვალს, 14 საათზე, რაგბის ევროპის ჩემპიონატის პირველ საშინაო მატჩში ბორჯღალოსნები გერმანიის ნაკრებს ავჭალის სარაგბო სტადიონზე უმასპინძლებენ.

წლევანდელ ტურნირზე შინ კიდევ ორ მატჩს გავმართავთ – 27 თებერვალს ესპანეთს მიხეილ მესხის სტადიონზე მივიღებთ, ხოლო ჩემპიონატის დამაგვირგვინებელ რკენაში 19 მარტს რუმინელ მუხებს დინამო არენაზე ვეთამაშებით. სტუმრად 2 მატჩი გვაქვს – 13 თებერვალს ლისაბონში პორტუგალიისა და 12 მარტს სოჭში რუსეთის წინააღმდეგ. წლევანდელი რაგბი ევროპის ჩემპიონატის ხუთივე მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე იქნება.

ნაკრების მოსამზადებელ ეტაპზე და სამომავლო გეგმებზე საუბრობს ბორჯღალოსანთა მთავარი მწვრთნელი **მილტონ ჰეიგი:**

– რაგბი ევროპის ჩემპიონატზე ყოველწლიურად რამდენიმე ახალგაზრდა მორაგბეს გამოვცდით, რომლებსაც ექნებათ 2019 წლის მსოფლიო თასზე მოხვედრის შანსი. ახალი სახეების გამოჩენა ბუნებრივი პროცესია და ყოველ წელიწადს ვიხილავთ უფრო მეტ ახალგაზრდა მორაგბეს. ისინი უკვე მზად არიან, მაღალ დონეზე ითამაშონ.

***– ნოემბერში მარიფილდზე შოტლანდიას ვესტუმრებით. სხვა ორი ტესტმატჩის მეტოქეები ცნობილია?***

– ისტორიაში პირველად ვითამაშებთ ამ სტადიონზე მასპინძლების წინააღმდეგ. დარწმუნებული ვარ, ძალიან დიდი მატჩი იქნება. გარდა ამისა, ნოემბერში გვექნება კიდევ ორი მაღალი დონის ტესტ-მატჩიც, ხოლო მეტოქეთა ვინაობა უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი.

***– ალბათ, თბილისის თასზეც ახალგაზრდებს გამოცდით.***

– 2016 და 2017 წლების ივნისში ჩვენ ვგეგმავთ ძლიერ გუნდებთან თამაშს. შესაბამისად, აღარ იარსებებს თბილისის თასი და საქართველო გაემგზავრება ოკეანეთში, სადაც კუნძულელებს დავუპირისპირდებით. საკმაოდ რთული მატჩები გველის. ივნისის ტესტები არის ერთადერთი ფანჯარა, რომელიც ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ უფრო მაღალი დონის მატჩების სათამაშოდ.

# მოფარიკავეთა იტალიური წარმატება



საქართველოს მოფარიკავეთა ნაკრებმა ევროპის გუნდური თასის გათამაშების ეტაპზე მესამე ადგილი დაიკავა. მოხმალავეთა შეჯიბრებას, რომელშიც 7 ქვეყნის 8 გუნდი მონაწილეობდა, იტალიის პადოვამ უმასპინძლა.

სანდრო და ბექა ბაზაძეები, მიხეილ მარდალეიშვილი, ნიკა შენგელია – ასეთი იყო საქართველოს ნაკრების შემადგენლობა, რომლის მთავარი მწვრთნელი მერაბ ბაზაძეა. პადოვაში იმყოფებოდა ფარიკაობის ფედერაციის პირველი ვიცეპრეზიდენტი, საერთაშორისო არბიტრი ზაზა მჭედლიძეც.

ქართველმა მოფარიკავეებმა ჯგუფში სამივე შეხვედრა მოიგეს: იტალიის პირველ ნაკრებს 45:39 აჯობეს, საფრანგეთს – 45:34, ისრაელს კი – 45:23. მეოთხედფინალში მერაბ ბაზაძის გაწვრთნილი გუნდი კვლავ ებრაელ სპორტსმენებს დაუპირისპირდა და ისევ აჯობა – 45:24, ნახევარფინალში კი მასპინძელთა პირველ გუნდთან ამჯერად დაძაბულ ბრძოლაში წააგო – 41:45.

მესამე ადგილისთვის ქართველებმა იტალიის მეორე ნაკრები დაამარცხეს – 45:28.

## შედეგები

**1 თებერვალი**

**ფეხბურთი**

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

დეპორტივო-რაიო ........................ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 21 | 16 | 3 | 2 | 54-17 | 51 |
| 2.ატლეტიკო | 22 | 15 | 3 | 4 | 31-10 | 48 |
| 3.რეალი | 22 | 14 | 5 | 3 | 64-20 | 47 |
| 4.ვილიარეალი | 22 | 13 | 5 | 4 | 29-18 | 44 |
| 5.სევილია | 22 | 10 | 6 | 6 | 31-23 | 36 |
| 6.ბილბაო | 22 | 10 | 4 | 8 | 33-30 | 34 |
| 7.სელტა | 22 | 10 | 4 | 8 | 33-35 | 34 |
| 8.ეიბარი | 22 | 9 | 6 | 7 | 35-28 | 33 |
| 9.დეპორტივო | 22 | 6 | 12 | 4 | 30-27 | 30 |
| 10.მალაგა | 22 | 7 | 6 | 9 | 18-20 | 27 |
| 11.ხეტაფე | 22 | 7 | 5 | 10 | 26-32 | 26 |
| 12.ვალენსია | 22 | 5 | 10 | 7 | 26-23 | 25 |
| 13.სოსიედადი | 22 | 6 | 6 | 10 | 26-34 | 24 |
| 14.ბეტისი | 22 | 5 | 7 | 10 | 15-31 | 22 |
| 15.ესპანიოლი | 22 | 6 | 4 | 12 | 20-41 | 22 |
| 16.ლას პალმასი | 22 | 5 | 6 | 11 | 23-34 | 21 |
| 17.ხიხონი | 21 | 6 | 3 | 12 | 23-35 | 21 |
| 18.რაიო | 22 | 5 | 5 | 12 | 28-47 | 20 |
| 19.გრანადა | 22 | 5 | 5 | 12 | 24-44 | 20 |
| 20.ლევანტე | 22 | 4 | 5 | 13 | 21-41 | 17 |

**იტალია. სერია ბ**

სპეცია-სალერნიტანა .................... 3:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

პარიზი-კლერმონი ........................ 0:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მარიტიმუ-ბელენენსეში ................ 1:2

# დინამომ სპლიტს მოუგო

## ქართული კლუბები უცხოეთში ემზადებიან



ქართული კლუბების დიდი ნაწილი თურქეთშია და საკონტროლო მატჩებს მართავს.

ბელეკში შეკრებაზე მყოფმა დინამომ პირველი ტესტ მატჩი გამართა. თბილისელები ხორვატიულ სპლიტს დაუპირისპირდნენ და 1:0 იმარჯვეს. გამარჯვების გოლი მე-17 წუთზე ჯაბა ჯიღაურმა გაიტანა.

მატჩის მიმდინარეობისას დინამოელებმა კიდევ რამდენჯერმე გაამწვავეს თამაში, მაგრამ მეტი გოლი აღარ გასულა. გიორგი ქვილითაიამ პირველ ტაიმში და ნიკოლოზ გელაშვილმა მეორე ნახევარში რამდენიმე მწვავე ეპიზოდი შექმნეს. ორ მომენტში ლიბორ ჰრდლიჩკასაც მოუწია თავისი ოსტატობის ჩვენება. საბოლოოდ მატჩი ლოგიკური შედეგით დასრულდა.

დინამოელები მომდევნო სპარინგს 4 თებერვალს ბატეს წინააღმდეგ გამართავენ.

**დინამო**: ჰრდლიჩკა, გველესიანი, ამისულაშვილი (ჭელიძე 46), უ.ლობჟანიძე (კიტეიშვილი 46), გურული, ცინცაძე (ჯანელიძე 46), პარუნაშვილი (ს.ლობჟანიძე 73), ჯიღაური, ჭანტურიშვილი (გელაშვილი 66), იაშვილი (ჟაჟა 46), ქვილითაია (არაბული 46)

ბელეკშივე გამართული მატჩი ბათუმის დინამოსა და სლოვაკურ პოდბრეზოვას შორის ფრედ 0:0 დასრულდა.

ბათუმელთა რიგებში ბოსნიელი ლეგიონერი მარკო მიხაილოვიჩი გამოჩნდა, გუნდმა კი ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ალავიძე (ტაკიძე), ტვილდიანი, მგელაძე, მიხაილოვიჩი, სუხიაშვილი (ქორიძე), შონია, გოგიტიძე, ფონიავა (კაშია), ქავთარაძე, ჭკუასელი (დიასამიძე), ბერიაშვილი (მაქაცარია).

ბათუმის დინამო შემდეგ ამხანაგურ მატჩს უნგრული პაკშის წინააღმდეგ გამართავს და კიდევ ერთ ლეგიონერს ათამაშებს. ზღვისპირულმა კლუბმა სერბი ფორვარდი, ნიკოლა კომაზეცი დაიმატა.

28 წლის სერბ თავდამსხმელს ტაილანდურ და კორეულ კლუბებში უთამაშია. ასევე იყო ნორვეგიული ჰაუგესუნდის, ბოსნიური სარაევოს, სლოვენიური მარიბორისა და რუმინული პეტროლულის ფეხბურთელი.

ბათუმელთა ახალწვეულმა 2005-06 წლებში სერბეთის 19-წლამდე ნაკრებში 4 მატჩი ჩაატარა და 1 გოლი გაიტანა.

კომაზეცმა 2012-13 წლების სეზონში მარიბორთან ერთად ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე იასპარეზა.

თურქულ შეკრებაზე მწარე მარცხი იწვნია ქუთაისის ტორპედომ. რიონისპირული გუნდი რუმინეთის ნაკრებმა 5:1 დაამარცხა, თუმცა, უფრო ზუსტნი ვიქნებით, რომ კლუბების ნაკრებმა, რადგან ლეგიონერებს რუმინელთა შემადგენლობაში არ უთამაშიათ და მხოლოდ ეროვნული ჩემპიონატის ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული.

რუმინელთა საგრძნობი უპირატესობა ანგარიშზე აისახა და მატჩის ბედი დასაწყისშივე გადაწყდა. ვლახებმა ანგარიში მე-5 წუთზე გახსნეს, მე-6 წუთზე კი მეორე გოლი გაიტანეს.

პირველი ტაიმი იორდანესკუს გუნდის გამარჯვებით 3:0 დასრულდა, შესვენებამდე ალიბეკმა სამამდე გაზარდა სხვაობა, მეორე ტაიმის დასაწყისში კი დუბლი შეასრულა.

57-ე წუთზე რადუციმ 5:0 გახადა ანგარიში. ერთადერთი საპასუხო გოლი შალვა ფურცხვანიძის ანგარიშზეა, მან 88-ე წუთზე მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

**ტორპედო**: კვასხვაძე, ფანცხავა (ბრეგვაძე 46), ჭიჭინაძე (მირცხულავა 46), ნერგაძე (ნიკონოვი 46), ქიმაძე (ნაცვლიშვილი 46) საღრიშვილი (ფურცხვანიძე 46), ბაბუნაშვილი (მამასახლისი 46), ტუღუში, წილოსანი, შინდაგორიძე (კაპანაძე 46), კვერნაძე (კვარაცხელია 46)

თურქულ შეკრებაზე საფეხბურთო კლუბმა საჩხერის ჩიხურამ მეორე ამხანაგური მატჩი რუმინული ტიმიშოარას წინააღმდეგ გამართა. სოსო ფრუიძის გუნდმა ლაშა კუჭუხიძის დუბლით დაამარცხა მეტოქე. 23 წლის შემტევმა გოლები 34-ე და 61-ე წუთებზე გაიტანა.

შეგახსენებთ, ჩიხურამ პირველ ამხანაგურ მატჩში 3:2 დაამარცხა ასევე რუმინეთის წარმომადგენელი იასი.

**ჩიხურა**: კუპატაძე (მწყერაშვილი), კაკაშვილი (კორიფაძე), კაშია, რეხვიაშვილი, მეგრელიშვილი (ჩიკვაიძე), დობროვოლსკი, განუგრავა, ჭანკოტაძე (ენუქიძე), კირკიტაძე (სარდალიშვილი), ჯოხაძე (ვოლკოვი), კუჭუხიძე (დეკანოიძე).

თურქეთში გამგზავრებამდე ბოლნისის სიონმა ამხანაგურ შეხვედრაში 2:0 დაამარცხა სომხური კლუბი მიკა. პირველი გოლი დიმიტრი ტატანაშვილმა გაიტანა. მან გოგინაშვილის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ზუსტად შეასრულა, მეორე გოლი კი დავით სვანიძის ანგარიშზეა, რომელმაც თავური დარტყმით აიღო მეტოქის კარი.

**პირველი ტაიმი**: მერლანი, სვანიძე, კილასონია, ოთარაშვილი, საჯაია, გვალია, რაზმაძე, მანჯგალაძე, ისიანი, გოგინაშვილი, ტატანაშვილი.

**მეორე ტაიმში შეცვლებზე შევიდნენ**: საჯაია, ჯინჭარაშვილი, გურეშიძე, გიორბელიძე, ისიანი შალამბერიძე, ივანიშვილი, გაგნიძე, მანაგაძე, მესხი, უგულავა.

სიონმა მოსამზადებელი ეტაპის პირველი ნაწილი დაასრულა და მოსამზადებელ ეტაპს ანტალიაში გააგრძელებს.

ორი კვირის განმავლობაში ვარლამ კილასონიას ფეხბურთელები ხუთ ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ. ქართული კლუბის მეტოქეები რუმინული კრაიოვა, დანიური ოლბორგი და ჰობრო, უკრაინული ჩერნომორეცი და ყაზახური აქტობე იქნებიან.

საფეხბურთო კლუბმა საბურთალომ თურქულ შეკრებაზე პირველი ამხანაგური მატჩი გამართა. ჩეხურმა გუნდმა ზლინმა 1:0 დაამარცხა თბილისური კლუბი. მეტოქემ გოლი მატჩის მიწურულს, მე-80 წუთზე გაიტანა.

**საბურთალო**: ქურდაძე, იაშვილი, მარგველაშვილი, თოთაძე, ჩაბრაძე, ალთუნაშვილი, ბიძინაშვილი, ხარაიშვილი, ფანცულაია, ცაცკრიალაშვილი, გოშთელიანი.

მეორე ტაიმში ცვლილებაზე გამოჩნდნენ მინდორზე: ჩოჩიშვილი, სოფრომაძე, მამუჩაშვილი, ხორხელი, ელვინ ტერა, კოხრეიძე.

გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდი შემდეგ ამხანაგურ მატჩს რუმინული ვოლუნტარის წინააღმდეგ გამართავს.

მარტვილის მერანმა თურქულ შეკრებაზე პირველი ამხანაგური მატჩი გამართა. ბადრი კვარაცხელიას გუნდი ბულგარულ მონტანას დაუზავდა (1:1).

ქართულმა კლუბმა პირველი ტაიმი ლაშა ჯღამაიას გოლით მოიგო, შესვენების შემდეგ კი ბულგარელებმა თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან წონასწორობა აღადგინეს, რაც მატჩის საბოლოო ანგარიში აღმოჩნდა.

**მერანი:**მამალაძე, მელიავა, ორბელაძე, გიორგაძე, გეგია, წყაროზია, ხაბელაშვილი, ჯიქია, ჯღამაია, გოგოლიძე, ჩიმაკაძე.

შეცვლაზე შემოვიდნენ: დ.ციცხვაია. ი.ციცხვაია, შენგელია, აშორტია, გოგუაძე, გაზდელიანი, რუხაია, კიკნაველიძე, სევოსტიანენკო, კენჩხაძე.

სხვა გუნდებისგან განსხვავებით, ესპანურ შეკრებაზე გაემგზავრა ლოკომოტივი. ჟერარდ სარაგოს გუნდი ესპანეთში ოთხ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს.

თბილისელები 8 თებერვალს გიორგი არაბიძის შახტარს დაუპირისპირდებიან, 11 თებერვალს კი – აკაკი ხუბუტიას მიხალოვეცს. დაგეგმილია მატჩები კრაკოვიასთან და რამდერსთან.

საქართველოში აგრძელებენ მზადებას ცხინვალი და გურია. ისინი ერთმანეთს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ ბასაზე შეხვდნენ და ცხინვალელებმა 3:1 მოიგეს.

შიდაქართლელებმა ანგარიში თორნიკე გორგიაშვილის გოლით გახსნეს. გურიამ წონასწორობა ახალწვეული ლეგიონერის, არტაგ ალექსეიანის გოლით აღადგინა. მეორე ტაიმის მიწურულს თავი ნიკა ნოზაძემ გამოიჩინა და ცხინვალი დააწინაურა. მატჩის საბოლოო ანგარიში კი სოსო ჩახნაშვილმა დააფიქსირა.

# ფაჩულიამ მოხსნებში ივარგა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ზაზა ფაჩულია სასტარტო ხუთეულში იყო და მთლიანობაში 28 წუთი ითამაშა, მაგრამ სროლები არ წაუვიდა. ქართველმა ცენტრმა 4-დან 1 ორქულიანი და 8-დან მხოლოდ 2 საჯარიმო ჩააგდო. საქართველოს ნაკრების ცენტრის ანგარიშზე საბოლოოდ 4 ქულა დაგროვდა, თუმცა ფაჩულია ტრადიციულად კარგად გაისარჯა ფარქვეშ და მატჩში ყველაზე მეტი, 13 (5 მეტოქის ფარზე) მოხსნა მოაგროვა.

ქართველი ცენტრის მეურვე ალ ჰორფორდმაც 28 წუთი ითამაშა და მატჩი 10 ქულითა და 4 მოხსნით დაასრულა. დალასელთაგან კი საუკეთესო შედეგი ჩანდლერ პერსონსმა დააფიქსირა, რომელმაც 19 ქულა და 11 მოხსნა მოაგროვა.

28 მოგებითა და 23 წაგებით დალასელები დასავლეთ კონფერენციაში კვლავ მე-6 ადგილზე არიან და მომდევნო მატჩს 4 თებერვალს საკუთარ მოედანზე მაიამისთან გამართავენ.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**მამაკაცების განჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# თიკა ჯამბურია პანორამა თბილისის წინააღმდეგ



პანორამა თბილისის პროექტმა არაერთი პიროვნების გაღიზიანება და აღშფოთება გამოიწვია. მათ შორისაა მომღერალი თიკა ჯამბურია, რომელსაც პანორამა თბილისის გამო, საცხოვრებელი სახლის წინ 54-მეტრიან კედელს უშენებენ.

**თიკა ჯამბურია:**

– ზუსტად ჩემი აივნიდან ერთ მეტრში შენდება 54-მეტრიანი კედელიი!!! და ფიქრობენ, რომ ეს ნორმალურიაა!!! სად ვცხოვრობთ, რა ქვეყანაა ეს, სადაც ადამიანის უფლებებს არანაირ ყურადღებას არ აქცევენ!!!......

გარდა იმისა, რომ მთელი ცხოვრება პანორამა თბილისის ჩრდილქვეშ უნდა ვიცხოვრო, აუტანელი გახდა უკვე აქ ამ პირობებში ცხოვრება, ხან წყალს გვიკეტავენ, ხან შუქი მიდის და, ფაქტიურად, გაუჩერებელ მიწისძვრაში ვცხოვრობ...

იქნებ ვინმემ იზრუნოს იმაზე, რომ რუსთაველის პირველი ნომერი გადარჩეს?!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# დავით სერგეენკო: „H1 N1 ვირუსზე პანიკის საფუძველი არ არსებობს“



შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს განცხადებით, საქართველოში გრიპით დაავადებისა და ექიმთან მიმართვიანობის ზრდის ტემპი საგრძნობლად შემცირებულია.

დავით სერგეენკოს თქმითვე, H1 N1 ვირუსით გარდაცვალების თითოეული შემთხვევა ტრაგედიაა, თუმცა პანიკის საფუძველი არ არსებობს.

– დაავადებებისა და მიმართვიანობის ზრდის ტემპი, საბედნიეროდ, საგრძნობლად არის შემცირებული, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ, ალბათ, უახლოესი პერიოდის განმავლობაში გვექნება გარდატეხა და მნიშვნელოვანი შემცირებისკენ წავალთ, – განაცხადა სერგეენკომ.

H1 N1 ვირუსით (ე.წ. ღორის გრიპი) საქართველოში კიდევ ერთი ადამიანი გარდაიცვალა. ბოლო პერიოდში ე.წ. ღორის გრიპით საქართველოში 8 ადამიანი გარდაიცვალა, მათ შორის 7 – H1 N1 ვირუსით, 1 კი – H3 N2-ით.

**ნიუსპრესი**

# ნინი ონიანი: „აღარ მინდა ცხოვრება ქვეყანაში, სადაც არ გიფასებენ შრომას“



კომედი არხის მსახიობი და მოდელი ნინი ონიანი საქართველოში ბოლო დროს დამკვიდრებულ სტერეოტიპებს უპირისპირდება და ხმამაღლა აცხადებს, რომ ამ ქვეყანაში ცხოვრება აღარ უნდა.

ნინი ონიანი:

– აღარ მინდა ცხოვრება ქვეყანაში, სადაც არ გიფასებენ შრომას, სადაც თუ ვინმე „გავლენიანის“ ნათესავი, საყვარელი, ცოლი, შვილი და ა.შ. არ ხარ, დაგენ..ა....

ქვეყანაში, სადაც ყველას აინტერესებს შენი ცხოვრება და ცდილობენ, რაიმე სახით ცხვირი ჩაყონ და იჩიჩქნონ იქ, სადაც არაა მათი ადგილი...

ქვეყანაში, სადაც პირდაპირობა, სითამამე, კომპლექსებით არშეპყრობილობა ითვლება ამორალურად...

ქვეყანაში, სადაც ადამიანებს გინდ წინ მოუ.....ვი გინდ უკან, აზრი არ აქვს...

ქვეყანაში, სადაც არავინ გიღიმის, არავინ არ გიწვდის დახმარების ხელს, როდესაც ყველაზე მეტად გჭირდება. არადა შენ ყოველთვის იყავი ამ ადამიანების გვერდით...

ქვეყანაში, სადაც ყანწი და სადღეგრძელოები ითვლება კაცობად და არა სხვა ბევრი ფასეული რამ....

ქვეყანაში, სადაც შანელი თუ არ გაცვია და როლექსი არ გიკეთია, ბევრი არც კი დაგელაპარაკება...

ქვეყანაში, სადაც თუ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობ იმიტომ, რომ მანქანა არ გყავს და არც იმის საშუალება, რომ დღეში 5-ჯერ ტაქსით იმგზავრო, გოიმი ხარ და...

„ტეეეეხაააავს....“ აღარ მინდა!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ხურვალეთში დევნილების ეზოები დაიტბორა

ხურვალეთის დასახლებაში მილი დაზიანდა, რის გამოც წყალმა ამოხეთქა და იქვე მცხოვრები ჩასახლებული დევნილები დააზარალა.

ერთ-ერთი დაზარალებული ვიოლეტა ხოხაშვილის ოჯახია. წყალმა, რომელსაც ქვა-ღორღი მოჰყვებოდა, მათი ეზო დატბორა, სახლის სახურავი დააზიანა და ქათმები დაუხოცა.

როგორც ვიოლეტა ხოხაშვილმა რუსთავი 2-თან საუბრისას განაცხადა, მათ სახლთან ახლოს სარწყავი წყლის მილი გადიოდა, რითაც მიმდებარე სოფლები წყლით მარაგდებოდა. მილი რამდენჯერმე დაზიანდა და შეაკეთეს, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, წყლის ნაკადს ვერ გაუძლო და ამოხეთქა. დაზარალებულის თქმით, წყლის ნაკადი წყლის კომპანიამ შეაჩერა, ხელისუფლებიდან კი მასთან არავინ მისულა.

– ეზო დაიტბორა 40 წუთის განმავლობაში, სახურავი დაგვიზიანდა, კედლები სულ ტალახიანია, საქათმეც დაგვეტბორა და დაზიანდა, ქათამი მყავდა ბევრი და 5 დამეხოცა, – აღნიშნა ვიოლეტა ხოხაშვილმა.

**ნიუსპრესი**

# გერმანელს ელექტროსიგარეტი პირში აუფეთქდა



გერმანიის ქალაქ კიოლნის მცხოვრებმა მძიმე ტრავმა მიიღო და ასევე რამდენიმე კბილი დაკარგა მას შემდეგ, რაც მას პირში ელექტროსიგარეტი აუფეთქდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი გერმანული გამოცემა ადგილობრივ პოლიციაზე დაყრდნობით ავრცელებს.

ინციდენტი დაახლოებით ერთი კვირის წინ მოხდა, თუმცა მის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ახლახან გახდა ცნობილი. სამართალდამცავი ორგანოების მტკიცებით, 20 წლის ახალგაზრდა სპეციალიზებულ მაღაზიაში მივიდა, რათა თავისი ელექტროსიგარეტისთვის ახალი აკუმულატორი და კარტრიჯი შეეძინა.

შეძენის შემდეგ ახალგაზრდამ გადაწყვიტა, იქვე შეეცვალა მოწყობილობის დეტალები, მაგრამ, როგორც კი სიგარეტი პირში ჩაიდო და გააბოლა, აუფეთქდა. შედეგად მას რამდენიმე კბილი მოსძვრა, ხოლო სახე ძლიერად დაესერა და დაეწვა. მაღაზიის თანამშრომლებმა ექიმები გამოიძახეს, რომლებმაც დაშავებული დაუყოვნებლივ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

პოლიციამ მომხდარი ფაქტის გამოძიება დაიწყო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სეულში ზვიგენმა ზვიგენი შეჭამა



სეულის აკვარიუმის ბინადარმა, ყველაზე დიდმა ზვიგენმა მეორე ზვიგენი შეჭამა. აღნიშნულ ინციდენტს უკვე უწოდეს „ომი ტერიტორიისთვის“. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი ასეთი შემთხვევაა აკვარიუმის არსებობის ისტორიაში.

გავრცელებული ინფორმაციით, რვა წლის მდედრმა ვეფხვისებურმა ქვიშის ზვიგენმა, ნელ-ნელა შეჭამა ხუთი წლის მამრი ზვიგენი. თავდამსხმელი ზვიგენის სიგრძე 2,2 მეტრს შეადგენს, ხოლო მისი მსხვერპლის სიგრძე – 1,2 მეტრს.

ასევე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თავდასხმიდან 10 წუთის შემდეგ თავდამსხმელი ზვიგენი აკვარიუმში პირიდან გამოჩრილი თანააუზელის სხეულით დაცურავდა, ხოლო დაახლოებით 21 საათის შემდეგ მსხვერპლის მხოლოდ კუდიღა მოჩანდა.

როგორც აკვარიუმის თანამშრომლებმა აღნიშნეს, მსხვერპლის კუდი ზვიგენის ხახაში კიდევ ოთხი-ხუთი დღის მანძილზე დარჩება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

**მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.**

**კონსულტაცია უფასოა!**

**☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).**

**მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.**


# ასტროპროგნოზი

## 3 თებერვლისათვის



**ვერძი** – ჯანმრთელობისა და ფინანსური თვალსაზრისით ძალიან მძიმე დღეა. საყიდლებზე წასვლა კატეგორიულად აკრძალულია. მოსალოდნელია კონფლიქტი თქვენთვის უცნობ ადამიანებთან. **კურო** – შესაძლოა ჯანმრთელობის პრობლემებმა კვლავ იჩინოს თავი. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გიუმჯობესდებათ. ადრე დადებული საქმიანი გარიგებები საკმაოდ დიდ მოგებას მოგიტანთ. **ტყუპები** – კარგი პერიოდია ქალაქგარეთ გასასვლელად, ბუნების წიაღში განმარტოებისათვის. გარშემომყოფებისადმი სითბოთი და ნდობით განიმსჭვალებით, საპასუხოდ ამავეს მიიღებთ. **კირჩხიბი** – მიზანს იოლად მიაღწევთ. პლანეტები გმფარველობენ. წარმატება გელით პირად ცხოვრებაში. მარტოხელებმა შესაძლოა ცხოვრების თანამგზავრი იპოვოთ. **ლომი** – დაკისრებულ მოვალეობას დიდი პასუხისმგებლობით მიუდექით. ნერვებს გაუფრთხილდით. ყველა საქმე მშვიდად და აუჩქარებლად აკეთეთ. გელით კონფლიქტი ნათესავებთან და მეგობრებთან. **ქალწული** – მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში მეგობრები და ახლობლები დაგეხმარებიან. თავს ნუ გადაიტვირთავთ, აკეთეთ ის, რაც გსიამოვნებთ. **სასწორი** – გამოცდის პერიოდი კვლავ გრძელდება. ნერვებს გაუფრთხილდით, მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. აფორიაქებული ხართ. მომავლის გეგმებს ნუ დასახავთ. **ღრიანკალი** – შესაფერისი დღეა შემოქმედებითი გეგმების რეალიზაციისათვის. დაისვენეთ თქვენთვის სასიამოვნო ადამიანების გარემოცვაში. ალკოჰოლის მიღება რეკომენდებული არ არის. **მშვილდოსანი** – სასიყვარულო ურთიერთობებში წარმატება გელით. ბედი გწყალობთ. გამახვილებული ინტუიციის მეშვეობით სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ. გარისკვა რეკომენდებულია. **თხის რქა** – თავშეკავებულად იმოქმედეთ. ძალზე დაძაბული პერიოდი გეწყებათ. საქმიანი კონტაქტები წარმატებით დამთავრდება, თუმცა საამისოდ დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. **მერწყული** – ჯანმრთელობას მიხედეთ. შანსს ნუ გაუშვებთ, პირადი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოთ. პრობლემების მოგვარებაში ახალი ნაცნობები დაგეხმარებიან. **თევზები** – თქვენს კეთილგონიერებაზე სამსახურებრივი წინსვლაა დამოკიდებული. საკუთარი შეცდომები გააანალიზეთ და გამოასწორეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ღია ცის ქვეშ მოწყობილი ეთნოგრაფიული მუზეუმის სახელწოდება სკანდინავიის ქვეყნებში; 2. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი გერმანული ფირმა; 3. ფრანგული კომედიური თეატრის მთავარი პერსონაჟი; 4. ირანის პარლამენტი; 5. ქალის სასიმღერო ხმა; 10. მეფეთა რეზიდენცია მადრიდში; 11. კბილის ამოღების ოპერაცია; 12. ტროპიკული ხილი; 15. „შუშანიკის წამების“ ავტორი; 16. ბეღურასნაირთა ოჯახის ფრინველი; 17. წყალზე მცურავი ყვავილოვანი მცენარე; 20 ვარდისებრთა ოჯახის ხილი, ნიუ იორკის სიმბოლო.

**თარაზულად**: 6. ჟურნალისტთა ოფიციალური დაშვება რაიმე ღონისძიებაზე; 7. თავად-აზნაურთა ტიტული ევროპაში; 8. შოტლანდიელთა მეორე სახელწოდება; 9. მოხსენების, ლექციის მოკლედ ჩამოყალიბებული ძირითადი დებულებანი; 13. ლობიოს მსგავსი პარკოსანი მცენარე; 14. ოქროქსოვილის ძველი ქართული სახელწოდება; 18. საერთაშორისო, სისხლის სამართლის სამძებრო პოლიცია; 19. მანძილის საზომი ერთეული საფრანგეთში; 21. ჰოლანდიური ყველი; 22. სიტყვების წარმოთქმის მანერა; 23. ქალისადმი მიძღვნილი პატარა ლირიკული ლექსი; 24. შტატი აშშ-ში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მაყვალი; 2. აბიო; 3. კოლიე; 4. არწივი; 6. ზარზუელა; 9. ლესოტო; 13. დარჯაკი; 14. თაღლითი; 15. კამორა; 17. კროლი; 18. გუამი; 20. ვატი.

**თარაზულად:** 1. მნათობი; 5. კიაზო; 7. ბოსფორი; 8. ყვირილა; 10. მახრა; 11. იფქლი; 12. მასინე; 16. ტაბულა; 17. კონგო; 19. რაჭა; 21. თოხანი; 22. ალბომი; 23. კაჭიჭი; 24. გიბონი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მანიკური; 2. ნირვანა; 3. სმოგი; 4. ქუვეითი; 5. ვივიენი; 10. დინასტია; 11. მუჯურეთული; 12. აზბესტი; 15. ბობოყვათი; 16. ხვიფლი; 17. ფერმერი; 20. დუომო.

**თარაზულად:** 6. კარდიოგრამა; 7. კუბრიკი; 8. ფრიმანი; 9. დუქანი; 13. ბიტი; 14. კუვეზი; 18. ლელობურთი; 19. ნესვი; 21. გურია; 22. ფიკუსი; 23. აინშტაინი; 24. ერისიონი.

# თამრიკო ჭოხონელიძე ოპერის თეატრის ხელმძღვანელობას აკრიტიკებს



მომღერალი თამრიკო ჭოხონელიძე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ხელმძღვანელობას აკრიტიკებს და მიაჩნია, რომ არ იყო ლამაზი ის „სელექცია", რომელსაც ადგილი ჰქონდა განახლებული თეატრის საზეიმო გახსნაზე.

**თამრიკო ჭოხონელიძე:**

– როგორც იქნა, მოვხვდი იმ ,,მონარჩენ" ადამიანთა სიაში, ვინც ოპერაში დაპატიჟეს... პირველ დღეებში, აბა, სად იყო ჩემისთანა ,,არაელიტარული", მაგრამ მაინც მუსიკოსების ადგილი?! ტელევიზიიდან ითქვა, იქ მოხვდებიან ის ადამიანები, ვინც ამის ღირსიაო...

ჰო, ალბათ, ასე ფიქრობენ და განსჯიან დღევანდელი ,,მსაჯულები"... ვერაფერს იტყვი!..... დასანანი ერთია მხოლოდ, ვფიქრობ, არ იყო ლამაზი ასეთი ,,სელექცია"! კრიტერიუმებმა გამაკვირვა...

მომიტევეთ, მაგრამ იქ იყვნენ ის ადამიანებიც, ვინც ამ ნაწარმოების მესამე მთავარ პერსონაჟსაც ვერ დაგისახელებდნენ, არათუ მის მუსიკალურ მხარეს გაგიშიფრავდნენ...

ასე რომ, ძალიანაც ნუ გავიგიჟებთ თავს, რომ იქ სწორედ ის ,,ელიტა" იყო, ვინც უნდა ყოფილიყო და ვისაც კარგად ესმის ოპერა!.. იმედია გამიგებთ, რატომ დამწყდა გული...

აუცილებლად წავალ... ძალიან მიყვარს ეს ოპერა და, მითუმეტეს, რომ ძალზე ვგულშემატკივრობ ზოგადად ქართულ ოპერას, თითოეულ ნიჭიერ მომღერალს და ყოველთვის ვიქნები იმ გულშემატკივართა რიგებში, ვინც შეუპოვრად იდგება და იბრძოლებს ქართული კულტურის, ქართველთა გემოვნების ზრდისა და ზოგადად ქართველების წარმატებების სადარაჯოზე!

# ოპერის ბაღის შადრევანი დააზიანეს

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი და მისი მიმდებარე ტერიტორია განახლების შემდეგ სულ რამდენიმე დღეა გაიხსნა, სკვერში მდებარე შადრევნის დაზიანება უცნობმა პირებმა უკვე მოახერხეს.



ვანდალურ ფაქტს საზოგადოება ინტერნეტში აქტიურად გამოეხმაურა და ფოტოებიც გაავრცელა.

– ბარბაროსობას+სიბოროტე! ოპერის ბაღში, განახლებულ სკვერში, შადრევანი ასე დაამტვრიეს გახსნის წინა დღეს. მარმარილოს ფილები ჩაყარეს შადრევანში. სამარცხვინო ფაქტია. წარმოუდგენელია... მსოფლიოს არცერთ წერტილში არ მომხდარა მსგავსი რამ, რომ საოპერო თეატრის წინ, დედაქალაქში მარმარილოს ფილები ემტვრია ვინმეს... ეს თავში როგორ უნდა მოგივიდეს ადამიანს და როგორ არ უნდა დაისაჯო კანონით??!!! – აცხადებს დიანა ფანჯავიძე და ფოტოებს აქვეყნებს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# მაყურებლები გია ჯაჯანიძის შოუს დახურვას ითხოვენ



„სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად" – ასე ჰქვია გადაცემას, რომლის ავტორი და წამყვანიც ფსიქოლოგი გია ჯაჯანიძეა. გადაცემის ეთერში გასვლის დღიდან მის გარშემო სკანდალები და ხმაური არ განელებულა. ამ ყველაფერს სიმშვიდით ხვდება თავად გია ჯაჯანიძე და აცხადებს, რომ მის გადაცემებში არაფერია ისეთი, რაც დღევანდელ რეალობაში არ ხდება.

მაყურებელმა გია ჯაჯანიძის გადაცემის მიმართ თავისი პროტესტი პეტიციის შექმნით გამოხატა და მისი დახურვის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება დაიწყო:

– მოვითხოვთ, დაიხუროს გია ჯაჯანიძის „გადაცემა", ვინაიდან და რადგანაც ის ატარებს საშიშ ხასიათს მოსახლეობისთვის. ავრცელებს დეზინფორმაციას და ხელს უწყობს საზოგადოების დახლეჩა-დაპირისპირებას. სხვა რა მიზეზები უნდა ჩამოგითვალოთ, თავადაც ხვდებით, რაოდენ ამაზრზენ, ტყუილ ინფორმაციებსა და სკანდალებზეა გაკეთებული გადაცემა, – ნათქვამია მანიფესტში, რომელიც ინტერნეტშია გავრცელებული, საჯაროა და მასზე ხელის მოწერა ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

# ცნობილი ქართველი მხატვარ-კერამიკოსი ალდე კაკაბაძე გარდაიცვალა

83 წლის ასაკში ცნობილი ქართველი მხატვარი და კერამიკოსი ალდე კაკაბაძე გარდაიცვალა. ქართველი მხატვრის ალექსანდრე კაკაბაძის შვილიშვილი და საბავშვო პოეტის მაყვალა მრევლიშვილის შვილი „ქართული კერამიკის დედად" აღიარეს.



სამხატვრო აკადემიის პროფესორსა და კერამიკის ფაკულტეტის ერთ-ერთ დამაარსებელს მრავალი თაობა ჰყავს აღზრდილი.

ნაყოფიერი მოღვაწეობის პარალელურად, ალდე კაკაბაძე მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენაში, კერამიკის საერთაშორისო გამოფენაზე ჟენევაში, საერთაშორისო გამოფენა-კონკურსზე ფიეცაში, მსოფლიო გამოფენაზე ვალორისში, ჩართული იყო კერამიკოსთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე შიკლოშში, გამოფენაზე მონრეალში, იუგოსლავიაში, საფრანგეთში.

ალდე კაკაბაძის პერსონალური გამოფენები მოეწყო თბილისში, მოსკოვში, კოპენჰაგენში, ნანტში, ვლადიმირში. ავტორია ნამუშევრებისა „ძველებური სიმღერა", „მიტოვებული სოფელი", კერამიკული პორტრეტი „კახელი", მარანი „ორნი", მარანი „საქართველო". მისი ნამუშევრები მსოფლიოს არაერთი ქვეყნის მუზეუმებშია დაცული.

# მოზარდ მაყურებელთა თეატრმა აკაკი წერეთელს სპექტაკლი მიუძღვნა

ქართველ პოეტსა და მწერალს აკაკი წერეთელს მოზარდ მაყურებელთა თეატრმა სპექტაკლი მიუძღვნა. „აკაკი" – ასე ეწოდება სპექტაკლს, რომლის პრემიერაც მცირე სცენაზე 4 და 5 თებერვალს გაიმართება.

თამაზ გოდერძიშვილის ლიტერატურულ-დოკუმენტურ პიესა „აკაკის" რეჟისორი გიორგი შალუტაშვილი დგამს. ერთმოქმედებიანი სპექტაკლი აკაკი წერეთლის ცხოვრებიდან ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილ დოკუმენტურ მასალას ეფუძნება.

ბევრმა არ იცის, რომ აკაკი ორჯერ გახდა შეკვეთილი მკვლელობის სამიზნე, მაგრამ, ილია ჭავჭავაძისგან განსხვავებით, გადარჩა. პეტერბურგში იმ მიზნით წავიდა, რომ გენერალი გამხდარიყო და ქვეყანა გაეთავისუფლებინა. რუსი მაგნატის, პეტრე ბაზილევსკის ქალიშვილი ნატალია ბაზილევსკაია თვითმკვლელობით დაემუქრა, თუ ცოლად არ შეირთავდა. საბოლოოდ ის აკაკის მეუღლე გახდა.

სპექტაკლი მოიცავს პერიოდს აკაკის დაბადებიდან იუბილემდე. მასში გამოყენებულია აკაკის ნაწარმოებები და თანამედროვეთა წერილები. მოქმედი გმირები არიან ილია, ვაჟა, იაკობ ნიკოლაძე...

სპექტაკლის მხატვარია თამარ ჭავჭანიძე, კომპოზიტორი – მიშა მდინარაძე. სპექტაკლში მონაწილეობენ როგორ მოზარდ მაყურებელთა თეატრის, ასევე მოწვეული მსახიობები თეკლა ჯავახაძე, ზურაბ ავსაჯანიშვილი, თათა თავდიდიშვილი, სოფო ახუაშვილი, ნიკოლოზ ნანიტაშვილი, ვასილ ამურველაშვილი, ირაკლი გოგოლაძე, ვახტანგ ახალაძე, ნატო ყულოშვილი, რატი გოგუაძე, დიმიტრი თარბაია, გიორგი კაჭახიძე, მირიან კოხრეიძე, დევი რეხვიაშვილი, ბექნუ ქაფიანიძე, დათო როსტომაშვილი, გიორგი შავგულიძე, მალხაზ შაყულაშვილი, ზურაბ ცინცქილაძე, ვამეხ ჯანგიძე და გიორგი ჯიქურიძე.

# სამგლოვიარო განცხადებები



## გალინა ზაქარაიას გახსენება

ძალიან მალე გაიარა ორმოცმა დღემ, ჩვენ გვერდით რომ აღარ ხარ.

სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გარკვეული პერიოდი იმსახურეთ აფხაზეთში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ქ. ტყვარჩელის საშუალო სკოლაში.

სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, ქალაქის საზოგადოება დიდი სიმპათიითა და კეთილგანწყობით იყო თქვენ მიმართ.

დაგრჩათ მეუღლე, შვილები, შვილიშვილები, რომლებსაც დღემდე არ შეშრობიათ მწუხარების ცრემლები. ნათელი დაადგეს თქვენს საფლავს!

**ბიძაშვილები გივი და რეზო ჩხეტიები**

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ვახო ბიჭიკაშვილი ახალგაზრდა ფეხბურთელის გადარჩენისკენ მოგვიწოდებს



„კომედი შოუს" მსახიობი, იუმორისტი ვახო ბიჭიკაშვილი, 23 წლის ახალგაზრდა ფეხბურთელის კონსტანტინე ზარნაძის სიცოცხლის გადასარჩენად ქართველ საზოგადოებას დახმარებას სთხოვს.

**ვახო ბიჭიკაშვილი:**

– ჩემო მეგობრებო, უმორჩილესად გთხოვთ, დამეხმაროთ! ეს ბიჭი არის ჩემი ნათლიის შვილი, ჩემს ხელში და თვალწინ გაზრდილი! ის არის ყოფილი ფეხბურთელი და სიცოცხლით სავსე ადამიანი! ჰყავს 2 პატარა შვილი!

უმორჩილესად გთხოვთ, გაავრცელოთ ინფორმაცია და დავეხმაროთ, თუ რამე შესაძლებლობა გექნებათ!

ამ წამს შემატყობინეს ეს ამბავი და მოგმართავთ ყველას არა მარტო ჩემს ნაცნობებს და მეგობრებს, არამედ ყველას მთელ ქვეყანას!!!

**პ.ს.** კოტე ზარნაძე 23 წლის არის. ის დაავადებულია მწვავე მიელოიდური ლეიკოზით. მას სჭირდება გადაუდებელი ოპერაცია, რომელიც კეთდება თურქეთში და ღირს 40.000 აშშ დოლარი. ის ქავთარაძის ქუჩაზე ჰემატოლოგიის ცენტრში იმყოფება, უმორჩილესად გთხოვთ, თუ რამით შეგიძლიათ დახმარება! მიბრძანდით კლინიკაში ან დაგვიკავშირდით! 593 622 669 თათა 591412955 ან 599307989 ნინო, 579444406 სანდრა.

კოტე ზარნაძის გადასარჩენად მისმა მეგობრებმა საქველმოქმედო კონცერტი თბილისის ივენთ ჰოლში დაგეგმეს. 10 თებერვალს კოტესთვის ცნობილი ქართველი მომღერლები იმღერებენ. ბილეთის ფასი 20 ლარია. მთელი შემოსავალი ახალგაზრდა ფეხბურთელის გადასარჩენად გახსნილ ანგარიშზე გადაირიცხება.

# პროგრამა

## ოთხშაბათი 3 თებერვალი

**06.30** მუსიკა I არხზე **07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.00** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 23.00** ტ/სერ. **"დაუნტონის სააბატო"** **12.30** "გურმანია" **13.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **14.05** "ხანმოკლე XX საუკუნე" **14.30** ან/ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "ჯეიმის საკვების ძიება" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. **"ქესლი"** **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.00** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **22.50** "ეპოქის ფრაგმენტი" **23.00** ტ/სერ. **"დაუნტონის სააბატო"** **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ **"მთვარე პარადორის თავზე"** **03.00** "პირადი ექიმი" **03.50** "კომუნიკატორი"

**08.00, 10.10, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.30** "არგუმენტების დრო" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.00, 14.40** სერ. **"ორი ბედი"** **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.20** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. **"ოცი წუთი"** **11.20** სერ. **"კონტრაქტის პირობები"** **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. **"თანხმობა"** 3 სერ. **17.35, 19.03** სერ. **"პატარძალი"** **20.55** სერ. **"ნამსხვრევები"** **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სტუმრად იუმორინასთან **00.30** მხ/ფ **"პატრიოტთა თამაშები"** (შ.ბინი) **02.30** მხ/ფ **"სიმამაცის კანონი"** (რ.სანჩესი)

**06.30, 19.45, 20.05** სერ. **"ალთქმა"** **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"დინასტია"** **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.45** სერ. **"დაკარგული ბავშვობა"** **16.55** სერ. **"ინდური საგა"** **18.45** სერ. **"შენ, მხოლოდ შენ"** **22.00** ნანუკას შოუ **00.00** გააცინე და **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.30, 18.30** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები. **9.00** Discovery. ბეკონის შეერთებული შტატები **10.00** ან/სერ. **"ავატარი ლეგენდა აანგის შესახებ"** **11.00** მზარეულები **11.30** შუადღე **14.00** ცოლები და ქმრები **14.30, 19.00** სერ. **"ახალი გოგო"**. **15.00, 19.30** სერ. **"ცენტრი"** **15.30** Discovery. არაჩვეულებრივი ძმები კულინარები **16.30** აირჩიე კაბა **17.00** საქორწილო გარდასახვა **17.30** ან/სერ. **"ავატარი ლეგენდა აანგის შესახებ"** **18.30** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.00** ცოლები და ქმრები **20.30 20.30 22.00** მზარეულები **22.30** მხ/ფ **0.45 ID Extra** დანაშაულები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა **1.45 URBAN STORIES 2.35** ჯიდიპედია

**06.10** მუს.პაუზა **06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** დ/ფ **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** ქრისტიანული ხელოვნება **11.15** ბავშვები მუზეუმში **11.30** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "დავით არსენიშვილი" **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ზამიოკულკასი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ანიმაციური ფილმი **15.20** ჩვენი ფონდი **16.00** კონცერტი **17.10** თვენი **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"ხსოვნა"** II სერ. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.20** ივერიის ეკლესია (ღვთის სახლი) **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე

**მაესტრო** **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05** სერ. **"სხვისი სხეული"** **11.05** სერ. **"ქუჩები და გუნები"** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი **13.30, 14.05, 16.05, 17.05, 1.00** სერ. **"კარმელიტა"** **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. **"ბერძენი ქალი"** **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45, 22.30** სერ. **"ჯუნა"** **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**3 თებერვლისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4702

ევრო — 2.6826

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5267

100 რუსული რუბლი — 3.2558

## ამინდის პროგნოზი 3 თებერვლისთვის






## კალეიდოსკოპი

### სინდი კროუფორდი პენსიაზე გადის



ამერიკელმა სუპერმოდელმა სინდი კროუფორდმა, რომელსაც 20 თებერვალს 50 წელი შეუსრულდება, ერთ-ერთი გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ სამოდელო ბიზნესიდან წასვლას აპირებს.

— დარწმუნებული ვარ, რომ დაახლოებით 10 წელი კიდევ მივიღებ მონაწილეობას გადაღებებში, მხოლოდ არა როგორც მოდელი. კიდევ რა უნდა გავაკეთო? აღარ შემიძლია საკუთარ თავში ახალი თვისებების აღმოჩენა, საკუთარი თავისთვის რაღაცების დამტკიცება. ეს ყოველივე აღარ მსურს, — განაცხადა სუპერმოდელმა.

კროუფორდმა ასევე განაცხადა, რომ რამდენიმე წლით გაახალგაზრდავება რომ შეეთავაზებინათ, ამ წინადადებაზე უარს იტყოდა.

— მინდა რაც შეიძლება მალე ვიხილო ჩემი შვილიშვილები და შვილთაშვილები და სულაც არ მსურს უკან დაბრუნება, — აღნიშნა სინდი კროუფორდმა.

გასული წლის 29 სექტემბერს კროუფორდმა გამოუშვა წიგნი, რომელშიც საკუთარი ცხოვრების შესახებ, თავის მიერ განვლილ გზაზე საუბრობს.





### პრინცი ჰარი მსახიობებისა და მოდელების წვეულებას დაესწრო

ბრიტანეთის პრინცი ჰარი ლონდონის რაიონ ნოტინგჰილში დაესწრო წვეულებას, რომელზეც მიწვეულნი იყვნენ მოდელი სიუიკი უოტერჰაუსი და კარა დელევინი, ტელეწამყვანი პოპი ჯეიმი, მსახიობები მარგო რობი და სიენა მილერი. საღამო უოტერჰაუსმა გამართა. ამ ინფორმაციას ბრიტანული პრესა ავრცელებს.

— ჰარის მოსწონდა და ართობდა ყველაფერი, რასაც ის (უოტერჰაუსი) ამბობდა. ყველა ფიქრობდა, რომ სიუიკი და ჰარი ერთმანეთს ძალიან დაუახლოვდნენ და შესაძლოა ეს მათი რომანის დასაწყისიც კი იყო, — განაცხადა ერთ-ერთმა სტუმარმა.

წვეულებაზე ასევე იყო პრინცესა ევგენია, პრინც ჰარის ნათესავი, რომელმაც მას თავისი მეგობარი კრესიდა ბონასი გააცნო.

### ამერიკულ კაფეში ტრამპ-ბურგერი დაამზადეს

ამერიკის აიოვას შტატში, სადაც 1 თებერვალს სტარტი აიღო პრაიმერიზმა, ერთ-ერთმა კაფემ საკუთარ მენიუში ახალი კერძი, ტარმპ-ბურგერი შეიტანა, რომელსაც ეს სახელი აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატ დონალდ ტრამპის პატივსაცემად დაერქვა.

დაწესებულების მფლობელთა თქმით, ახალი სენდვიჩის ამოცანაა, ჰამბურგერი ისევ დიდებულ კერძად აქციოს.



ეს ფრაზა ტრამპის გამონათქვამის პაროდიაა. ტრამპი პირობას დებს, რომ ამერიკას ადრინდელ დიდებას დაუბრუნებს.

პრეზიდენტობის რესპუბლიკელი კანდიდატის პატივსაცემად შექმნილი სენდვიჩი შედგება ორი ფუნთუშის, ლორის, ძროხის ხორცის, ყველისა და მოხრაკული ხახვისგან. კაფეში კლიენტი 14,99 დოლარად მიიღებს არა მხოლოდ ტრამპ-ბურგერს, არამედ კარტოფილ ფრისაც.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## 2 თებერვლიდან

### გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

### „ბიტლზი დღიდან დღემდე“




„ბიტლზი“ ყველა დროის უდიდეს პოპჯგუფად ითვლება.

ოთხმა ლივერპულელმა ახალგაზრდამ ერთხელ და სამუდამოდ შეცვალა პოპმუსიკის სახე. მათ შექმნეს მთელი თაობა და მსოფლიოს ყველა კუთხეში მილიონობით ადამიანის ცხოვრებაში შეაბიჯეს.

**„ბიტლზი დღიდან დღემდე“** ასახავს ჯგუფის განუმეორებელ მიღწევებსა და თანამედროვე კულტურაში შეტანილ წვლილს.

მაგარ ყდაში ჩასმული და ცარცის ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნი დასურათებულია ჯგუფის ნაკლებად ცნობილი ფოტოებით. მას ახლავს ჩანართები, რომლებიც „ბიტლზის“ გარემოცვის, მათი დროისა და იმ ხელოვანთა შესახებ მოგვითხრობს, გავლენა რომ იქონიეს ჯგუფზე.

**ტერი ბაროუზი** 50-ზე მეტი წიგნის ავტორია. მისი ნაწარმოებები 7 ენაზე ითარგმნა და 10-ზე მეტ ქვეყანაში დაიბეჭდა.

**ფასი გაზეთთან ერთად 17 ლარი**

## ფაჩულიამ მოხსნებში ივარგა

ზაზა ფაჩულია სანახევროდ მშობლიურ ატლანტას ეწვია და იმ გუნდს, რომელშიც 2005-დან 2013 წლამდე 8 სეზონი თამაშობდა, დალასის მაისურით დაუპირისპირდა. ამ გუნდებს მიმდინარე სეზონში თითქმის ერთნაირი შედეგი აქვთ და საკუთარი მოედნის გამო ფავორიტად მასპინძლები მიიჩნეოდნენ.

ასეც მოხდა: ჯეფ ტიგმა სეზონში პირადსარეკორდო 32 ქულა ჩააგდო და დალასელებს შანსი არ დაუტოვა. ქორებმა საბოლოოდ 112:97 დაამარცხეს ტეხასელები და აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-5 ადგილზე გადაინაცვლეს.



**გაგრძელება მე-9 გვერდზე**

## იუმორი



მწყემსს ეკითხებიან:

— ეს ცხვრები რამდენს იწველიან?
— რომლები, თეთრები თუ შავები?
— თეთრები.
— ორ ჭიქას.
— და შავები?
— ეგენიც ორ ჭიქას.
— მატყლს რამდენს გაძლევენ?
— თეთრები თუ შავები?
— თეთრები.
— ერთ კილოს ერთ გაპარსვაზე.
— და შავები?
— შავებიც იგივეს.
— კაცო, შენ რას გვეკაიფები, თუ ყველაფერი ერთნაირადაა, რაღას გვეკითხები, რომლებიო.
— იმიტომ, რომ თეთრები ჩემია.
— აჰა, გასაგებია და შავები ვისია?
— შავებიც ჩემია.

●●●

კაცი მღვდელს ეკითხება:

— მამაო, ეს ცხვარი ეკლესიას სამჯერ შემოვატარე და ახლა რა ვქნა?
— თუ ექსკურსიაზე გყავს წამოყვანილი, წაიყვანე, ბარემ გრემიც ანახე...

●●●

ქალი გარდაცვლილ ქმარს დასტირის:

— ტიტუუუუუ, რა სახეეე...
— ტიტუუუუუ, რა ყელი, რა ყელიიიი...
— ტიტუუუუუ, რა მკერდიიი...
— ტიტუუუუუ, რა მუცელიიიი...

მცირე პაუზა და ხანგრძლივი კივილი:

— ტიტუუუუუუუუუუუუუუუუუუუ, მიშველეეეეეეთ ვინცხაააააამ.

●●●

მამა შვილს ეუბნება:

— შვილო, იცოდე, გამოცდებს თუ ვერ ჩააბარებ, დაივიწყე, რომ მამაშენი ვარ!!!
— კარგი, მამა.

გარკვეული დროის შემდეგ მამა შვილს ეკითხება:

— აბა, რა ქენი გამოცდებზე?
— შენ ვინ ჯანდაბა ხარ?

●●●

სიდედრი სიძეს ეუბნება:

— რომ მოვკვდები, არ დამმარხოთ, დამწვით და ჩემი ფერფლი აქვე ეზოში მოაყარეთ.
— არა, რას ამბობ, პატარა ქარი და ისევ სახლში აღმოჩნდები.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი სახეობა; 2. გვერდის წახნაგის სიმაღლე წესიერ პირამიდაში; 3. კუნძულოვანი სახელმწიფო სპარსეთის ყურეში; 4. საეკლესიო ლოცვათა, საგალობელთა კრებული; 5. შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მიერ გამოყოფილი ნივთიერება; 8. ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფი პრაქტიკულ ღონისძიებათა ერთობლიობა; 9. სახლზე დაშენებული არასრული სართული; 12. უკმაყოფილების მძაფრი გამოხატვა; 13. ზღვისპირა კურორტი ზუგდიდის რაიონში; 16. რაიმეს გაგების, შესწავლის სურვილი; 17. ტბა საქართველო-თურქეთის საზღვარზე; 19. აეროპორტი ვარშავაში; 20. დილის სადილი.

**თარაზულად**: 6. ეგვიპტის უკანასკნელი დედოფალი; 7. პირობითი ნიშანი გეოგრაფიულ რუკაზე; 8. სატრფიალო ხასიათის მეგრული ქალ-ვაჟის ცეკვა; 10. სასტუმროს ერთ-ერთი ტიპი; 11. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 14. ტანსაცმლის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 15. ხალხური ზეპირსიტყვიერება; 18. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 21. გერმანული ლუდი; 22. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 23. ქვის ხანის უძველესი პერიოდი; 24. დედამიწის მტკიცე გარსი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

